

ქართველი მწერლები

შ 0 6 ა ა რ ს 0 :

ქაქუცა ჩოლოყაშვილი —

ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი —

ნავთისათვის ბრძოლა მსოფლიო ომში — ბ. ვარდანი

ბიუჯეტი —

ბ. ქ — ბე

საომარი მოქმედებანი მთაში —

ნ. თოხაძე

შერილი აფრიკიდან —

გიორგი

არტილერია, მისი დახასწიათება... —

ლ. მ.

უცხოეთის სამხედრო ლიტერატურიდან

ლ. მ.

გ ა ძ უ ც ა ჩ ი ლ ი ფ ა ზ ვ ი ლ ი

ვინც მტრის წინაშე ქედს არ იხრის და არ ემორჩილება მის ნებას, ის დამარცხებული არ არის და, მიუხედავათ იმისა რომ შეიძლება პირობები მძიმე და საშვალებები მცირე ჰქონდეს, განაგრძობს ბრძოლას თავისუფლების მოსაპოებლად.

ეს არის ისტორიის მიერ გამოჭედილი ჭეშმარიტება!

დიდი ხნის წინად, როდესაც ზენონმა თავისი თანამემამულე ემიგრანტები შეკერიბა და საკუთარ სამშობლოში გაიღოაშქრა, იქ გამეფებული ტირანიის დასამხობად, და როდესაც ის, დამარცხებული — ხელებგარული მიპევარეს და პირის-პირ დადგა ტირანი დემილოსის წინაშე, რომელმაც შურისძიებით აღსავს თვალები ხარბად მიაპყრო თავის მსხვერპლს, განთქმულმა ზენონმა ენა მოიკენიტა და მტერს სისხლი სახეში მიაფურთხა. ასე მოიქცა, ეს ერთ-ერთი უკვდავთაგანი, რომ სივრცილსაც გამარჯვებული შეხვედროდა. თუმცა, ამის შემდეგ, ჯალათებმა წამებით მოჰკლეს ის, მაგრამ ვერ დაამარცხეს...

როდესაც სრულიად განმარტოვებული საქართველო 1921 წელს დამარცხდა და საშიშარი მტრის წინაშე დადგა, გამშარებული სიკაპასით მან ენა მოიკენიტა და მტერს სისხლი სახეში შეაფურთხა, ამით ქვეყანას ამცნო, რომ დამარცხებულად არ აღიარებს თავს, ვინაიდან არ ემორჩილება მტრის ნებას და განაგრძობს ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსაღენად.

ეს იყო ზენონის ფურთხი. თუმცა, ამის შემდეგ, ჯალათებმა აწამეს საქართველო, მაგრამ ვერ დაამარცხეს...

ქართველი ხალხი განაგრძობს ამ ბრძოლას იმ მტრის წინაამდეგ, რომელმაც ორჯერ დაიპყრო საქართველო.

როცა რუსის ჯარი პირველად ტფილისში შემოვიდა, იმ დღეს წვიმდა და ქალაქელებმა იხუმრეს: «რუსებმა თან მოიტანეს ჩრდილოეთის სუსხი»-ო. ჩრდილოეთის სუსხთან ერთად განადგურებარ მოიტანეს და ქართველმა ხალხმა შეიარაღებული აჯანყებებით უპასუხა მოსულ მტერს, თავისი პაპეული მიწა-წყლის განსათავისუფლებლად. ეს აჯანყებანი ატარებდნენ კუთხურ ხასიათს და რუსებიც დიდი სიამოვნებითა

და ერთგულად ახშობდნენ. დაუჭიკავად განმათივასუცლებელ მოძრაობას მაგრამ ვერ შესძლეს და ვერ მოსტეხს ქართული ხალხის ნება — თავისი ლირსეული შვილების მეთაურობით ის განაგრძობდა ბრძოლას იარაღითა და სიტყვით —

ჩვენი მაღალ-ნიჭიერი რომანისაზე ალექსანდრე ყაზბეგის გმირები კბილებ-გაკაპასებული ურტყამენ ხანჯალს მკერდში, მთაში შეჭრილ რუსებს, რომლებმაც აფორიაქეს ხევის ცხოვრება. ისინი ხალხის ჭირვარამის გამომხატველნი არიან და მისი ნების მატარებელნი; ებრძვიან საერთო მტერს და ხალხოსნურ გმირებად ჩაითვლებიან.

მეორედ რუსის ჯარი 1921 წელს შემოვიდა ტფილისში. იმ დღეს კოჯირის ნიავს ტაბახელადან თან ჩამოპქონდა დენთის სუნი და კვამლი. ხოლო... როდესაც ქართველმა ხალხმა დაინახა, რომ ბრძოლა წაგებულია, მის მკერდიდან დაიჭექა მტრისადმი შურისძიების რისხეამ და გადმოვარდა როგორც ალესილი ხმალი. ამ ხმალს პირველმა ქაუცა ჩოლოყაშვილმა წამოავლო ხელი და გულრკინეულად მიძართა იმ მტრისაკენ, რომელიც მეორედ მოვარდა რომ ძირფესიანად ამოვეგდო ჩვენი ერის კულტურის საძირკველი, რომელიც პირველ შემოსევას გადაურჩა.

ამის შემდეგ რომანი არავის დაუწერია, მაგრამ ქაუცას ოთხ წლიანი ცხოვრება უკვდავი რომანია, რომლის შესანიშნავი ეპიზოდები ჩვენს თვალწინ გაიშალენ მოქმედებაში და ნამდვილ-მოქმედ სურათებად ჩატარდენ. ამ რომანს არა ჰყავს პიროვნული ავტორი, რადგანაც ის დასწერა იმ დიდმა მწერალმა, რომელსაც ხალხი ეწოდება.

ქაუცაც მოქმედობს უმთავრესად იმ ადგილებში, სარაც ალექსაზე ყაზბეგის გმირები მოქმედებდენ. მაგრამ ასლა უკვე აღარ არის კუთხური აჯანყება. ხალხი ერთიანად გამოვიდა და იშუო ქუხილი და დრეკა, როგორც «დიდმა მთებმა». და აღარც ჩოლოყაშვილსა და ხალხს შორის არის მესამე პირი — ავტორი. ის ხალხმა წარმოშვა თავისი საშორან უშუალოდ და აბრძოლებს საერთო სამშობლოს მტრის წინააღმდეგ.

როგორც სოფელში ჩამოვარდნილ მგელს მოაკედინებენ მცხოვრებლები სადმე ქართაში, ასევე ცუდათ გაათავებეს პარტიანი, რაც უნდა ძლიერი იყოს ის, თუ ხალხში ბინა არა აქვს. ქ. ჩოლოყაშვილი ოთხი წლის განმავლობაში რისხვად ევლინება იმ მტერს, რომლის დანახვაზე ბრაზი გადმოჰყარა ქართველმა ხალხმა. ეს მან შესძლო, რადგან ის ხალხს უვარდა და ხალხი აცოცხლებდა მას. მოხუცებს მოჰყავდათ მასთან შვილები და ეუბნებოდენ: —

ამის სიცოცხლე შესწირე სამშობლოს-ო!

ხალხის ნდობა, ბრძოლის წყურვილი და რისხვაც არსებობდა, მაგრამ აგრეთვე საჭირო იყო ლონიერი ქართველი, ინდივიდუალური —

მაღალი თვისებების პიროვნება, რომელიც შესძლებდა სრმიმის აწევას და გატანას. ასეთიც გამოჩნდა — ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მნიშვ მოვალეობაში მან გასძლო ოთხი წელიწადი. მას არ შეუქმნია მებრძოლი პარტია და არც დისკაპლინით შეკრული დიდი რაზმი; მხოლოდ აღადგინა აღ. ყაზბეგის გშირების «ძმად გაფიცა». დღევანდელ პროპაგანდიზმის ეპოქაში, როდესაც «ძმა ძმას აღარ ენდობა, ქვეყანა წამხდარია». ეს შესძლო, ვინაიდან მასში სცოცჭლობდა დიდი ბუნება, ამ სიტყვაში ქართული ყველა მაღალ ლირსების მოთავსებით, და ბედი, რომელიც გმირობის საყვარელი მეგობარია. უთუოდ ეს ბედი ნათელი ღიმილით ბევრ ჯერ გადაუარდა სახეზე, როდესაც ის 1923 წელს მთებიდან გამოდიოდა და ტფილისში შედიოდა ქრისტეშობის თვეში.

ეს ორი მომენტი: ხალხი და პიროვნება — მასსა და ინდიენტები იღბლად შეხვდენ ერთმანეთს საქართველოს ახალი ცხოვრების მამლისყივილზე.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს თან მოსდევდა ჩოლოყაშვილთა ოჯახების ქართული უწინდელი კულტურა. ამ კულტურით იყო მისი სული მონათლები და მახე ნახარები. როგორც განათლებულ პიროვნებას მუდამ ხალხის გულშე ჰქონდა მიდებული ყური, ესმოდა მისი გულისწადილი და ანგარიშს უწევდა მის სილრმეში დაგროვილ ძალებს; მიპყებოდა და თვითონავე იყენებდა მათ. როდესაც მას წინადადება მისცეს, რაზმი დაეშალა, ეს მან შეასრულა. ხოლო ამის შემდეგ განაგრძობს... ერთგული რაზმით გადადის მთიდან მთაში და იბრძვის. როდესაც დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით ჭ. ანდრონიკაშვილმა აჯანყების მეთაურობას დარშა გადასცა 28 აგვისტოს, ეს მან მიიღო, თუმცა ეს დროშა მანამდის ხელში ეჭარა და მიიღო ქართველი ხალხისაგან.

რატომ იქცეოდა ასე? იმიტომ, რომ ჩოლოყაშვილი არ ისახავდა ცალკე მიზანს.

მას არ ჰქონდა დასახული პირადული მიზანი. მტრის ტყვიისაგან მისი ძმა როცა დაეცა, ხის-ძირას დამარხა. ციხეში დამწყვდეული მისი სამამრი გამოიყანეს და მოჰკლეს. ოჯახი აუნგრიეს და საყვარელი ცოლ შვილი ციხეში დაუმწყვდიეს. რომელიმე ეს უბედურება სხვა ვინმეზე ტყვიაზე უფრო იმოქმედებდა და სადმე ფუნი დაუცდებოდა. ჩოლოყაშვილი ხედავდა წინდაწინვე ყოველგვარი უბედურების შესაძლებლობას. მან პირადი ბედნიერების წრეს გადააბიჯა. ის არის და: მისი ნაბადი, ცხენი, სასროლი, შეფიცულები; მთის ფენთხებითან სწრაფად გამოვარდნა და მტერზე ფიცხად შემოკვრა, შებრუნება და შიღა მთებისაკენ მიუშურება; გორების გროვები ერთმანეთს ართმევენ გადმოვარდნილ სიმღერას; კლდის ნამტკრევებისაგან ნაშენ სადგომში ზის ქართველი — ეს-

მის მამაცების სიმღერა და წარმოუდგება, რომ ვიღამაც «იალბუზხე ფე-ხა შედგა»; მაღლა ასვლა, რბილ ხავსებზე ნაბუზების გაშლა; ისინი არიან და მთის სურნელვანი ფიჭვების შრიალი, «გამოხნებელი ლამისა».

ო,ო! მომზიბლავ პეიზაჟების ფონზე ეს სურათი მეტად აღმახად და სასიამოვნოდ ეჩვენება სხვას შორიდან, ხოლო მისი შემქნელს — ავტორს საკუთარი ძარღვის სისხლი უნდა ეხმარა ფერებად ხატვის დროს

ჩოლოყაშვილმა ამას შესწირა პირადი ბედნიერება; როგორრ ხალხისთვის მებრძოლი — უპიროვნოა. არ არსებობს მზღვარი ჩოლოყაშვილსა და ხალხის მისწრაფებას შორის. ის ერთბაშად ხალხის აღესილი ინსტიქტია, რომლის ძახილი მოისმის როგორც კლდიდან აფრენილი არწივის ყივილი!

ჩოლოყაშვილს არ ჰქონდა დასახული სოციალური მიზანი და არ წარმოადგენს ილიას გმირების ტიპს. ამ ხანის ქართულ ლიტერატურაში შექმნილ ყველა ამდაგვარი ტიპის გმირჩე მაღლა დგას ის, რადგან — არის, ცხოვრობს და მოქმედობს. მას არ სწამდა წოდებრივი და პოლიტიკური დაყოფა; გლეხი, ინტელიგენტი, მუშა, თავადი მისთვის თანასწორი ადამიანები იყვნენ, ყველას ქართველს უწოდებდა და როგორრ დიდ-ბუნებოვან ადამიანს ყველა უყვარდა. მაგრამ, მსგავსს მოყვრულ სიყვარულს ქართულ ძელ პოემებში თუ ამოიკითხავთ დღეს!

მას არ ჰქონდა დასახული წინასწარ გეგმაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიზანი, არ იბრძოდა ამ ხაზზე და არ აწყობდა აჯანყებებს. ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში — აჯანყების მოწყობას — ისტორია მიუღვიმლად და ულმობელად ასამართლებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ისტორია არ გაასამართლებს, თუნდაც იმისთვის, რომ დიდების გვირგვინი დაადგას თავზე. მხოლოდ მას მტკიცედ სწამდა ერთი: — რომ უნდა ებრძოლა — თუ გაიმარჯვებდა ხალხს თავისუფლებას მოუტანდა, — თუ მოკლულ იქნებოდა, მაინც გამარჯვება მას რჩებოდა.

ასეთი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მტრის ნებას ხალხმა საკუთარი რისხვიანი ნება დაუპირდაპირა, და ამ აქტის გამოცხადებაა ქაქუცა ჩოლოყაშვილი; აქ არის მისი სიდიდე და ამ ფონზე გამოჩნდება ისტორიაში.

ის ცეკვეთქით მოვარდა საქართველოში ქუნილივით; მოვარდა და თან ჰკივის ხალხის გრძნობებიდან გადმოტეხილი ვნებიანი კივილით:

“ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება, რომ ჩემ შემდგომად, მოქმედსა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს”

ვინ იტყვის, რომ ჩოლოყაშვილის სულისკვეთება უქმად ჩაივლის! მისგან გადალახულ გზას გაპყვებიან მისი მოძმენი, რომლებიც მომზადებული ჰყავს საქართველოს.



ჩაჩუცა ჩოლოყაშვილი

1888 — 1930 წ.

ქაიხასრო ჩოლოყაშვილი ეკუთვნოდა საქართველოს ისტორიაში დიდათ ცნობილ ჩოლოყაშვილების გვარს, რომელმაც მრავალი დვაწლი დასდო სამშობლოს.

დაიბადა მამაპაპეულ სოფელ მატანში, 14 ივნისს, 1888 წელს. იყო შვილი თავადის იოსებ და დარია ჩოლოყაშვილებისა. სწავლა მიიღო ტფილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში. ოცდაერთის წლისა რუსულ ჯარში იქნა გაწვეული სამხედრო ბეგარის მოსახლეობად

და მსახურებდა ტევრის დრაგუნთა პოლკში, საიდანაც დაბრუნდა სახლ-ში ოფიცრის ხარისხით. 1913 წელს შეირთო ილია მელვინეთ-ხუცესის შვილის ერთად ერთი ასული ნინო და დაბინავდა მამულში. 1914 წელს დიდი ომის ატესის დროს, როგორც ოფიცერი ისევ ჯარში იქმნა გაწვეული და მთელი ომი ბრძოლის ველებზე გაატარა. 1914 წელს დაჭრილ იქმნა აგსტრიის ფრონტზე და გადაყვანილი კავკასიის ფრონტზედ. როგორც დაჭრილი ის უფროსობდა ზურგის ჯარის ასეულს და ამ დროს დაიწყო ოსმალეთის ჯარის იერიშები სარიყამიშვედ. რუსის ჯარი ცოტა იყო და ოსმალები აშკარად სჭარბობდნენ. მათ უკვე შემოუარეს რუსებს ზურგიდან და აი ამ დროს იღებს იგი ბრძანებას, თავის მუშა-ჯარისკაცებს თოვები დაურიგოს და ფრიად სტრატეგიული მნიშვნელობის «არწივისბუდის» მთა ოსმალებისაგან უკან დაიბრუნოს. ჩოლოყა-შვილმა ეს ბრძანება ბრწყინვალედ შეასრულა და «არწივის ბუდე» დაიბრუნა. ოსმალებმა ისევ განაახლეს «არწივის ბუდის» იერიშები, ჩოლოყა-შვილი ფეხში ჯაიჭრა. მას წინადადებას აძლევენ უმფროსობა სხვას გადასცეს და თითონ ლაზარეთში წავიდეს. იგი თავის პოზიციაზე რჩება და ისევ იღებს ჭრილობას, მაგრამ ამ ხელად მკერდში და ფრიად მძიმეს მაგრამ «არწივის ბუდე» მას რჩება.

მძიმედ დაჭრილი ჩოლოყა შვილი თავს წმ. ნინოს ქართულ საკადმყოფოში იოჩენს და როდესაც ქართული ცხენოსანი რაზმი არსდება, ერთი პირებულთაგანი შედის მასში. ამიერიდან იგი სპარსეთის ფრონტზედ არის. აქ მან შეასრულა თავისი შესანიშნავი რეიდი. თავისი ასეულით მან გაიარა მესოპოტამიის უდაბნო და ინგლისელებს შეუერთდა.

დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. ის უკვე ქართულ ჯარებში მსახურობს და ამ ხნიდან, როგორც ერთი შესანიშნავი ოფიცერთაგანი, მონაწილეა ყველა იმ ომებისა და სამხედრო საქმეების, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდა.

1921 წელს, ეროვნული კატასტროფის დროს, როდესაც უსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველო დაიკავა, ის საქართველოში რჩება.

მის თავში იბუდებს საქართველოს განთავისუფლებისა და მტერთან იარაღით შებმის აზრი. ამის მზადებას, პირველი მებრძოლი ჯგუფის შედეგნას და იმ პირობებში ამ მეტად ძნელი საქმის მოწყობას მთელ წელიწადს ანდომებს. ამ დროს საქართველოში მძაფრი ტერორი მძვინვარებს. იქვერენ ყველას და განსაკუთრებით სამხედრო პირებს. ჩოლოყა-შვილი პირველთაგანი სწერია დასაჭერ პირთა სიაში. დავვიანება ალარ იქნებოდა და 1922 წლის მარტის 12-ს თავისი «საქართველოს შეფიცულებით» ჩოლოყა-შვილი ტყეში გადის.

ეს ნიშნავდა ბოლშევიკურ რუსეთთან ომის გამოცხადებას. მალე იმავე წლის ივნისში, ქ. სიღნალთან, ბოლშევიკების ძალებთან პირველი დიდი შეტაკებაც მოუხდა და დაიწყო ის გმირული ეროვნული ბრძოლა, რომლის დროშა ჩოლოყაშვილი იყო.

ამ დღიდან ქართველი ერის გულის ყური, მისი მამულიშვილური ზრახვა, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, მის გმირულ რაზმთან და იმ სხვა რაზმების მოქმედებასთან იყო გადაბმული, რომლებიც მისი გასვლის შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეში გაჩნდა. ვისაც მამულისათვის გული უცემდა და ბრძოლისათვის მკლავი უჭრიდა — ქაქუცასაკენ იწევდა. მაგრამ პარტიზანული ბრძოლის სისტემა ნებას არ იძლეოდა, რომ ჩოლოყაშვილს დიდი რაზმი ჰყოლოდა, ან ყველა ეს რაზმები ერთად ჰყოლოდა. ბრძოლისათვის მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მებრძოლ რაზმში ყოფნას, არამედ კარგად მოწყობილ კავშირს, სურსათისა და იარაღის მიწოდებას, საიმედო ბინების ქონას, პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობას და საზოგადოთ ხალხის დახმარებას, ხალხის სიმრავლე — აი აქ სჭიროდა ამ ძნელსა და რთულ საქმეს და ბრძოლის მსურველთა ამ უამრავობამაც აი, ეს ფუნქციები დაინაშილა, შეიქმნა და გაიზარდა ჭეშმარიტად ის დიდი კავშირი ბრძოლისა, რომლის სიმტკიცე თვით ხალხის წიაღში იდო.

ეს ორგანიზაცია რომ მართლა ხალხური და მართლა ძლიერი იყო, «ხევსურეთის აჯანყების» დროს გამოჩნდა, რომელიც 1922 წელს, თითქმის მთელ საქართველოს აჯანყებად არ იქცა. რუსის წითელმა ჯარებმა ხევსურეთი გადასწვეს, მაგრამ ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი ვერ მოსპეს.

შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ჩოლოყაშვილს დროებით უნდა შეენერებინა თავისი მოქმედება. ამითი ისარგებლა მან და ჩეჩენეთში გადავიდა, რათა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან კავშირი გაება. იმავე წლის ღვინობისთვეში საქართველოში დაბრუნდა და ბოლშევიკებმაც განახლეს მისი დევნა.

ერთი შეტაკების დროს მოკლულ იქმნა მისი ძმა სვიმონი-სიკო, რომელიც გასვლისთანავე მის რაზმში იმყოფებოდა. ქაქუცამ ძმა ტყე-ში დამარხა და ბრძოლა განაგრძო. კიდევ სხვა შეტაკების გამო, რომლის დროს ბოლშევიკების მდევარი სასტიკად დაამარცხა, დატუსალებულ იქმნა მისი მეუღლე და ორი მისი პატარა ასული. გაშმაგებული ბოლშევიკები მისი უმფროსი ასულის ცოცხლად დამარხვას მოითხოვდნენ, ეს აღარ მოხდა, მაგრამ სამაგიეროდ დაატუსალეს ჩოლოყაშვილის დედა, სიდედრი და სიმამრი. უკანასკნელი 1924 წლის აჯანყების დროს დახვრიტეს კიდეც.

1923 წლის ქრისტეშობისთვეს ჩ თლ თყაშვილი თავისი ორგანიზაციული ცენტრის მდგრადი განხდა. ეს იყო ყველაზე თამამი მისი საქციელი. ეს ჩამოსკლა გამოწვეული იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის პრინციპით მოსალაპარაკებლად და აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად. რა იცოდა ბოლშევკიურმა ჩეგამ, რომ ის, ვისაც იგი კიდით კიდემდე ეძებდა, ერთი კვირა ტფილისში სცხოვრობდა და ახალის გეგმით და ახალის ენერგიით ტფილისიდგან მშვიდობით გავიდა.

დადგა ბოლოს 1924 წელიც. ჩოლოყაშვილი მანგლისის მიდამოებში დაბანკდა და ტფილისთან გამუდმებული კავშირი პქონდა. 24 აგვისტოს «საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი» და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე ტფილისიდან ჩოლოყაშვილის ბანაკში გავიდნენ.

28 აგვისტოს, ბედენის მთაწედ, «საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის» თავჯდომარემ, კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო-ქაზულა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა და ლამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში.

ეს აჯანყება დამარცხდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დასტოვეს.

აღარ არის დღეს თვით ჩოლოყაშვილიკ, მაგრამ დროშა, რომელიც მას ეჭირა, ისევ ფრიალებს; ხმალი, რომელსაც ის იქნევდა, ისევ ელავს.

მისი სახელი სამუდამოთ გადაბმულია ქართველი ერის ბრძოლის ისტორიასთან დამოუკიდებლობისათვის და ამ ისტორიაში ის შეართვული გმირი!

ნავთის საკითხის შესაფერისად მოგვარებამ და ნავთის მიწოდების საქმის გაჩარხვამ მოკავშირეებს უდიდესი სამსახური გაუწია გამარჯვების მიღწევაში.

მ ს ი ფ ლ ი ღ ღ მ შ ი

ბ

სანავთო საკითხი გერმანიაში.

ნავთის საკითხის შესაფერისად მოგვარებამ და ნავთის მიწოდების საქმის გაჩარხვამ მოკავშირეებს უდიდესი სამსახური გაუწია გამარჯვების მიღწევაში. ტყუილად კი არ უცხადებდა ლორდი კერზონი მოკავშირეთა სახელით დეტერდინგს, ბედფორდს, ლუოდრეის, გულბეკიანს, უოლტერ ლონგს, რექას, პერლეის, პროფესორ კადამს და სხ. რომელთაც მოკავშირეებს დიდი ამაგი დასდეს სანავთო მოწყობის ორგანიზაციაში. «დაუფასებელია», ამბობს ბერანეე — «როიალდაჩშელ სანავთო კომპანიის, აზიატიკ პეტროლიუმის, სტანდარტ ოილის, გალფორეფაინინგის, მესიკანიგლის, ანგლო-პერშინის მოქმედება, ამ სანავთო კომპანიათა, რომელიც «ლორდ ჯელიკოს ლორდ ბიტის, მარშალ ეოფრს, მარშალ პეიკს, მარშალ ფოშს წლიურად 7 მილიონ ტონა გაზოლინს, კეროსინს, საჭვავ და საზეთო ნავთს აწოდებდენ»... — და გამარჯვებაც იდლესასწაულეს.

როგორი იყო მდგომარეობა გერმანიაში? — აუტანელი! გერმანია დარიბია ნავთით. ჯერ კიდევ ომის წინ პროფ. დონათი და გროეგერი ამტკიცებდენ: — გერმანიამ ყურადღება უნდა მიაქციოს თავისი ავტომობილების და გემების ინდუსტრიისათვის და აგრეთვე ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის ნავთის მიღება უზრუნველყოფილი იქნებო —.

გერმანიის რაიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში, 1914 წ. თებერვლის 6-ს, სამხედრო ფლოტის ხარჯთალრიცხვის განხილვის დროს, შტატსსეკრეტარმა განაცხადა სამხედრო გემებზე ნავთით თბობის შემოლების მდგომარეობის შესახებ და თან დასძინა, რომ ნავთის მიწოდების საქმეს საზღვაო სამინისტროში ყურადღებით ვებყრობითო. ამასთან მან შენიშნა, რომ სხვა ქვეყნებში გემების ნავთით მოძრაობა უფრო ნაკლებ არის განვითარებულით.

1880 წ. გერმანიაში მიღებული ნავთი უდრიდა 9960 ბარელ ნავთს,
1917 წ. კი უკვე 996000 ბარელს, — მაშინ როცა გერმანიის ჯარს სჭირ-
დება 1.500.000 ბარელი ნავთი.

ფლოტისა და პეროპლანების გარდა, 1914 წ. I იანვრისათვის
გერმანიაში ირიცხებოდა 93172 ავტომობილი; ამას ემატებოდა კიდევ
ომის დროს ფართოდ ამოქმედებული წყალქვეშა ნავები, და ყველაფრის
დაკმაყოფილება ნავთის პროდუქტებით გერმანიისათვის შეუძლებელი
შეიქნა.

ამატომ ცნობილი ინდუსტრიელი და დიდი სახელმწიფო კაცი
ვალტერ რატენაუ დაუინებით ჰქადაგებდა: მომჭირნეობა მოეკიდეთ ნავთს
ისე, როგორც პურსო.

ომის დაწყებისთანვე გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ დაუ-
ყონებლივ რეკვიზიცია მოუხდინა გერმანიაში არსებულ ბენზინს, ბენზოლს
და გაზოელს.

ეგრეთ წოდებულ პინდებურგის პროგრამაში ამ საკითხს დიდი
ყურადღება მიექცა და სამხედრო უწყებისადმი მოხსენებაში გენერალუ-
რი შტაბი აცხადებდა: — ნავთის მოხმარებაში მომჭირნეობასთან ერ-
თად მიღებულ უნდა იქნეს ზომები ნავთის მიწოდების გასაძლიერებლად
და თუ საჭირო ზომები დროულად არ გატარდა, სამხედრო მეურნეობას
დიდი ზიანი მიაღებაო. გენერალურმა შტაბმა მიმართა მოხსენებით
რაიხსკანცლერს, სახელმწიფო სალაროს, სამეურნეო უწყებას, საგარეოს,
სამხედრო სამინისტროს და სხვებს; ამ მოხსენებაში იგი მიუთიერებდა
სანავთო პროდუქტების მომარავებასა და მოწოდების გადამჭრელ მნიშ-
ვნელობაზე ჯარისა და ფლოტისათვის. ერის ლუედენდორფი სპეციალუ-
რი ცირკულიარით მიმართავდა ჯარის ყველა ნაწილებს: —

«სამეურნეო საკითხები თანდათანობით მეტ გაცლენას ახდენენ ომის
წარმოებაზე. მათი მნიშვნელობა საერთოს საზიანოდ ყველგან და ყო-
ველთვის სავსებით არ არის შეგნებული... საძრავ მასალათა მოთხო-
ვნილება (ბენზინი, ბენზოლი, სათბობი ნავთი, საჩეთი) მეტად დიდია
და თანდათანობით იზრდება. ეს გამოწვეულია წყალქვეშა ნავთა ომი-
სათვის გადიდებულ მოთხოვნილებით, პეროპლანების რიცხვის გაზ-
რდით, ცხენთა ნაკლებობით და სხვა გავლენათა გამო გამრავლებულ
ავტომობილთა ფორმაციებით. ჩვენი წყაროები ამ მასალათა მისაღე-
ბად განსაზღვრულია. ნავთის შარაგი შეგვიძლია მივიღოთ ავსტრო-
უნგრეთიდან და რუმინეთიდან. ავსტრო-უნგრეთი გვაძლევს ჩვენ გან-
საზღვრულ ოდენობას და არც შეიძლება არსებითად მისი გადიდება,
ვინაიდან თვით ავსტრო-უნგრეთს სჭირდება. რუმინეთის სანავთო პრო-
დუქცია მუდმივ იზრდება, მაგრამ ამ ზრდას არ შეუძლია მისდიოს

მოხმარებას... ამის გამო მოსალოდნელია შემცირდეს რუმინეთიდან შემოზიდვა. ეს სიმცირე არ მეიძღება შეივსოს კავკასიიდან ნავთის შემოზიდვით...»

აშკარაა, გერმანია უნავთოდ დიდ გაჭივრებაში ჩავარდა. ომამდისაც :იგი ნავთის შემოზიდვაზე იყო დამოკიდებული, და როდესაც ომი დაწყო, იმპირტი შეწყდა, ზღვის გზები დაიხურა და ხმელეთით კი მიმწოდებელი იყო მხოლოდ ავსტროუნგრეთი, (გალიციის სანავთო ადგილები), რომელსაც ახლა თვით არ გააჩნდა საკმაოდ ნავთი. ამგვარად: — ნავთის დარგში გერმანია დიდ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. სად იყო გამოსავალი?

ს ანავთო ს ტრატეგია: —

ბრძოლა რუმინეთის ნავთისათვის

აშკარა არის: — გერმანია, მოწყვეტილი სანავთო წყაროებს, ყოველ ზომას მიიღებდა ნავთის მოსაპოებლად, რათა თავისი ჯარი და ფლოტი ნავთით უზრუნველეყო. უკვე მოვიხსენიე, რომ გალიციის ნავთი საკმარისი არ იყო ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გერმანიამ მიმართა რუმინეთს, სადაც იგი ჰყოდულობდა ნავთს საშინლად გადიდებულ ფასებში, ცეცხლის — ფასად. აქ გაიმართა დიპლომატიური ბრძოლა ნავთის საკითხში. ანტანტის სახელმწიფონი დაუინებით მოითხოვდნ რუმინეთისან, რომ მას გერმანიისთვის ნავთი არ მიეყიდა, და მათივე დაუინებითი მოთხოვნით რუმინეთმაც დაიწყო ომი გერმანიის წინააღმდეგ. ამ დიპლომიტიურ ბრძოლაში — ნავთის გარშემო, გაიმარჯვა ანტანტიმ და გერმანიას დაეკეტა ეს მცირე ნავთის წყაროც. ამიტომ გერმანიის ჯარს უსაჭიროესი ამოცანის გადაწყვეტა მოუხდა: — მაკენზენისა და ფალკენჰაინის ჯარს მიზნად დაესახა რუმინეთის ჯარის განდგურება და რუმინეთის წამოჩიქება. — ეს მიზანი ბრძყინვალედ იქნა შესრულებული. ძლიერი გერმანიის ჯარი 1916 წლის დეკემბრის 3-ს, შევიდა რუმინეთის სატახტო ქალაქში — ბუქარესტში. რუმინეთი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. მაგრამ მაკენზენისა და ფალკენჰაინის ჯარების შეტევის მიზანი ანტანტისათვის ცხადი იყო, — და ამიტომაც ინგლისელი ობერსტი თომსენის ბრძანებით კოლონელ ნორტონ გარიტიმა საფუძვლიანად გააფუჭა ჭაბურლილები: ამოავსო ჭები, მოშალა სანავთო ქარხნები, გადასწვა ნავთის მარაგი და დაადამბლა რუმინეთის სანავთო წარმოება.

გერმანელებს მოუხდათ ნავთის წარმოების ალგენა, გაფუჭებულის გამოსწორება, ქარხნების ამუშავება, უზარმაზარი შრომა დაიხარჯა

ამ საქმეზე და მალე გერმანულმა ენერგიამ და ცოდნამ მიღწია მიზანს: გერმანიამ დაიშყო რუმინეთიდან ნავთის მიღება; მაგრამ როგორც ლუ-ეფენდორფი აღიარებდა, ამით არ შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო გერმანიის სანავთო მოთხოვნილება, რომელიც დღითიდე იზრდებოდა.

სანავთო ზავი

გერმანიის ძლევამოსილმა ჯარმა პირველ ყოვლისა დაიკავა ნავ-თიანი ადგილები და სამხედრო მართველობა სანავთო ადგილების ინტენ-სიურ ექსპლოატაციას შეუდგა. ნავთის საკითხში გადაშევეტილ იქნა, რომ სამხედრო მართველობა გაუძღვებოდა სანავთო მრეწველობას; ამი-სათვის შექმნილ იქნა ეს სამხედრო მართველობა ორი განყოფილებით: 1) განყოფილება ნავთის ექსპლოატაციისათვის, 2) განყოფილება ნავთის ფაბრიკაციისათვის; ეს უკანასკნელი დანაწილებული იყო მრავალ ჯგუ-ფად, რომელთაც თავისი საკუთარი ამოცანა ჰქონდა.

1917 წ. აგვისტოს 14-ს სამხედრო მართველობამ აკრძალა ყველა კერძო კომპანიათა მუშაობა, კონფისკაცია მოუხდინა ატანტის ქონებას (227 მილიონი ფრანკი) და მთელი სანავთო წარმოება გადაეცა გერმანულ სანავთო საზოგადოებას — ერდოელ ინდუსტრიი ანლაგენ გეზელშავტს. ყველა ეს საკითხი მოგვარებულია ბუქარესტის საზაონ ხელშეკრულება-ში, განსაკუთრებით ცალკე სანავთო ხელშეკრულებაში, რომელსაც ხე-ლი მოაწერეს 1918 წ. მაისის 7-ს. ამ ხელშეკრულობას ეძახიან პურისა და ნავთის ზავს. ამ სანავთო ზავის შესახებ მოვლედ დავასკვნით, რომ: ხსენებულ ხელშეკრულების ძალით რუმინეთის სანავთო ინდუსტრია გა-დადიოდა გერმანიის ხელში.

სანავთო ასპარეზზე დიპორმატიურ სტრატეგიაში დამარცხებუ-ლი გერმანია სამხედრო სტრატეგიაში გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ არა საბოლოოდ, როგორც ყველამ იცის: — ვერსალის ზავის 292 მუხ-ლის ძალით ბუქარესტში დადებული სანავთო ხელშეკრულება გაუქმე-ბულ იქნა.

სანავთო პოლიტიკა და სტრატეგია: —

კავკასიისაკენ

როგორც უკვე აღვნიშნე, არც რუმინეთის სანავთო წყაროებმა უშველა გერმანიის გაჭივრებას. ამ შემთხვევისათვის გერმანიას ხელ-საყრელი პირობები შეექმნა: რუსეთში მოხდა რევოლუცია, ნავთის უმდიდრესი წყაროები — ბაქო — რევოლუციის ტალღებში ინთენდო-და. გერმანიამ მეყვესეულად მიაპყრო ყურადღება კავკასიას და ხელი გა-უწოდა პირველად ყოვლისა საქართველოს, აიღო რა თავისთავზე ოსმა-ლეთისაგან მისი მფარველობა-დაცვა.

გერმანიის პოლიტიკაში შედიოდა კავკასიაში ფეხის მოკიდება. ამისათვის იქაური რესპუბლიკებისათვის დახმარება, და ნავთის მიღება. მაგრამ სჯობია ავალაპარაკოთ თვით ამ პოლიტიკისა და სტრატეგიის მაწარმოებელი, გერმანიის ჯარის გენერალ კვარტირმაისტერი ერის ლუ-ედენდორფი, რომელიც რაიხსკანცლერისადმი მოხსენებაში 1918 წლის ივნისის 9-ს სწერდა: —

«საქართველოში გვეძლევა შემთხვევა... მცირე მებრძოლი ძალებით ჩვენი ძლიერება გავზარდოთ: ჩვენ იქ ქართული არმია უნდა მოვაწყოთ. ამისთვის აუცილებლად საჭიროა საქართველოს სახელმწიფოს აღიარება და მისი დაცვა-მფარველობა. ამას ზედ ერთვის, როგორც ზეობრივი მომენტი, ის ვითარება რომ საქართველო ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ჩვენ კარგა ხანია დიდ იმედებს ვაძლევდით. გერმანიის მიერ საქართველოს აღიარება და დაცვა იქნება ამავე დროს ერთად ერთი საშვალება, მაღაგასნილი ოსმალეთი საქართველოსაგან შორს დაგიჭიროთ; თორემ ისე საქმეთა გაძნელებანი იქ არ შეწყდებიან. თუ საქართველოში ჩვენ გვექნება დასაყრდნობი წერტილი, იმედი არის, რომ კავკასია თანდათანობით დაწყნარდება, და ჩვენ შეგვეძლება იქ არსებული ჩვენთვის ასე დაუყონებლივ საჭირო ნედლ მასალათა მიღება.

«მე განკუთრებით უნდა აღნიშნო, რომ ჩვენ იქ ოსმალეთს ანგარიში უნდა გაუწიოთ და მისი სურვილებისთვის ერთგვარი დათმობის გრძნობა ვაჩვენოთ. რკინისგზა ბათომშიდან ტფილისზე ჯულფასაკენ მისი ოპერაციებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ჯარების გადაყვანა ამ გზაზე ოსმალეთისათვის უნდა უზრუნველვყოთ. ჩვენ ვერ დაკომიტ გერმანიის გავლენას ტფილის-ბაქოს რკინისგზის მოძრაობაზე. იქ ჩვენ ოსმალეთმა უპირატესობა უნდა დაგვითმოს... სახელმძღვანელო დებულებად უნდა იყოს რომ, ოსმალეთმა არ უნდა ინებოს და ხელი არ უნდა შეგვიშალოს საქართველოს სამხედრო ძალის შექმნაში და კავკასიიდან ნედლ მასალათა გამოზიდვაში. ოსმალეთის მიერ ტფილის-ბაქოს გზის დაკავება და ბაქოს დაჭერა, რაც გამოიწვევს იქაურ სანაქო ინდუსტრიის განადგურებას, იქნებოდა ჩვენდამი მტრული მოქმედება...»

ლუედენდორფის მიერ ამ მოხსენების 20 დღის შემდეგ ფოთში შემოვიდა გერმანიის ჯარის ნაწილები. საქართველო დაცულ იქნა ოსმალეთისაგან, მაშინ როცა ბრძოლა ბაქოს გარშემო მეტად გამწვავებულად გრძელდებოდა.

1 «გერმანელი ჯარები მიკიდენ ტფილისს როგორც დამცველი ისმალებისაგან და ამიტომ მეგობრული სალამით მიღებულ იყვნენ. გერმანელებისათვის ეს ქვეყანა ძვირფასი იყო, როგორც მისასვლელი გზა ნავთით მდიდარ ბაქოსაკენ და სპარსეთისაკენ და თურქესტანისა-კენ». კარლ გაუცი: «გეორგიენ» (გვ. 57, ვიენ. 1921)]

ეხლა გაგაცნობთ იმ გეგმას და მოსაზრებებს, რომელთა შესახებ გენერალი ლუელნდორფი თავის სამხედრო მოგონებებში სწერს:

«ბათუმში მოლაპარაკებისას საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მიმართეს ფონ ოსმალს და სოხუმვეს გერმანიის სახელ-მწიფოს მიერ დაცვა-მფარველობა. 1915 და 1916 წლებში ჩვენ ვმუშაობდით ქართველ მოხალისეთა რაზმით სომხეთში, თუმცა უშედევოდ ამასთანავე ჩვენ შევედით ერთგვარ კონტაკტში გავლენიან ქართან. შემეძლო, ამ დამოკიდებულებას და ეხლა საქართველოს თხო ნას გერმანიის სახელწიფოს მიერ მისი დაცვის შესახებ, მხოლოდ მივსალმებოდი სამხედრო მოსაზრებით. ისინი გვაძლევდენ ჩვენ შემთხვევას, ას-მალეთისაგან დამოუკიდებლად, კავკასიის ნედლ მასალებთან მივახლოვებულიყავით და ტფილისხე გამავალ რკინისგზის მოძრაობაზე გავლენა მოგვეპოვთ ბია. ჩრდილოეთ სპარსეთში ომის წარმოებისათვის იგი გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო და გერმანიის გავლენაში მყოფი მოძრაობა უფრო უნარიანი იქნებოდა, ვინემ ასმალების თანამშრომლობით. დაბოლოს, ჩვენ უნდა შევცდილიყავით, ქართული ჯარების შექმნით ჩვენი თავი გაგვემაგრებია: მათ ჩვენ მოვიხმარდით ინგლისის წინააღმდეგ. არც ის უნდა დაგვიწყებოდა, თუ კავკასიის მხარედან რა სიძნელენი შეიძლება წარმომდგარიყვენ. ამიტომ ვშუამდგომლობდი რაიხსკანცლერის წინაშე საქართველოს სურვილები მხედველობაში მიეღო. სპააში მოლაპარაკების დროს, საქართველოში ჩვენი პოლიტიკის შესახებ, რაიხსკანცლერი დათანხმდა, რომ როგორც მისი წარმომადგენლი, ობერსტი ფონ კრესი, რომელიც პალესტინის ფრონტიდან გერმანიაში იყო დაბრუნებული, I-2 დამცველი კომპანიით ტფილისში წასულიყო. საჭირო შეიქნა, რომ იქ ჩვენ ძლიერად გამოვსულიყავით. ამას მოითხოვდა... აგრეთვე ჩვენი მომარაგება ნედლი მასალებითა. ამ შემთხვევაში ხომ ჩვენ ასმალებს ერ დავყირდნობით, ხელახლად დაგვიმტკიცა ეს მათმა საქციელმა ბათუმში, მათ მიითვისეს ყველა იქ ნახული საქონელი. ბაქოდან ნავთის მიღებაზე ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა, თუ ჩვენ ჩვენს თავს თვითონვე ვუშველიდით. ჩვენს ქვეყანაში ნავთის სიმცირე და მასთან დაკავშირებული მთელი სიძნელენი ზამთარ-ში განათებისა კარგად გვახსოვდა. მეშვიდე არმიის თავდასხმის შემდეგ

ა გრეთვე ჯარის სათადარიგო ნაცოლიც გამოიღია; ის ჩვენ მეტად გვაკლდა. უკრაინული რკინისგზებიც საჭიროებდა აგრეთვე ნავთს. რუმინეთიდან ნავთის მიღება შესაძლებლობის ფარგლებში განსაკუთრებულად ავსწიეთ, მაგრამ ამის მიუხედავად ნავთის დანაკლისის შევსებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ეს გვეჩვენებოდა ასეთა შესაძლებლად ამიერკავკასიიდან, განსაკუთრებით ბაქოდან, თუ ამავე დროს სატრანსპორტო პირობანი წესრიგში იქნებოდენ მოყვანილი. საველე რკინისგზების უფროსს უნდა გამოიკვეთა სანავთო გემშის საკითხი. რკინისგზა ბათუმი-ტფილისი-ბაქო, რომელსაც ბევრი ცისტერნები ჰქონდა, მოძრაობაში უნდა მოეყანა აბერსტ ფონ კრესს ოსმალეთთან შეთანხმებით. ბუნებრივია, გადამშევეტი იყო საკითხი, თუ როგორ მივიღოდით ბაქოში. საბჭოთა მთავრობისათვის ანგარიშის გაწევამ ხელი შეგვიშალა აქაც ნამდვილი და სწრაფი მოქმედებისათვის...»

ბრესტის სანავთო მუსლინი

როგორც გვახსოვს, 1918 წლის აგვისტოს 17-ს, გერმანიამ მოაწერა ხელი ბრესტ-ლიტვასკის სახავო ხელშეკრულობის დამატებითი ხელშეკრულობას, რომელშიც კავკასიის საკითხი სწყდებოდა. ეს საკავკასიო მუხლები შემდეგს შეიცავს: —

«თავი 6: მუხლი 13. რუსეთი იმის თანახმაა, რომ გერმანიამ აღიაროს საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არსება.»

«მუხლი 14, აბზაცი 2: რუსეთი შეძლებისდაგვარად გააძლიერებს ბაქოს რაიონში ნავთის ამოւებას და ნავთის პროდუქთა წარმოებას და მიღებულ რაოდენობიდან ერთს მეოთხედს, ყოველ შემთხვევაში თვიურად წინდაწინ განსაზღვრულ ტონათა რიცხვის მინიმუმს, რომელზეც შეთანხმება უნდა მოხდეს, გერმანიას გადასცემს». —

გერმანიამ დაიცვა საქართველოს დამოუკიდებლობა, და ვერ დაიცვა აზერბაიჯანის. მიზეზს გვიხსნის შემდეგი ოფიციალი განმარტება:

«რაც დანარჩენ სახელმწიფო არსებათ კავკასიაში შეეხება, ასეთივე დათმობა, როგორიც იყო საქართველოსათვის, რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულობაში მიღწეულ ვერ იქნა. რუსეთის მთავრობა ბაქოს რაიონის, მისი მდიდარი ნავთის წყაროებითურთ, შენარჩუნებას, უდიდეს ღირებულებას (მნიშვნელობას) აძლევდა; გერმანიას რამდენადაც შეეხებოდა, არ შეეძლო მისი (რუსეთის) სურვილისათვის ანგარიში არ გაეწია, მით უმეტეს; რომ რუსეთმა თავის მხრივ ვალდებულება აიღო, ამოღებული ნავთის ერთი ნაწილი გერმანიისა და მის მოკავშირეთა საჭიროებისათვის მიეწოდებია.»

გერმანია დამარცხდა, და ეს ხელშეკრულობაც გაუმჯობეს იქნა ვერსალის ზავის 259 მუხლის ძალით.

ჩვენ დავინახეთ, რომ გერმანია გამწარებული იბრძოდა ნაკთხა-
თვის და სისხლსა დერიდა მის მოსაპოებლად. სადაც გაიმარჯვა იქ ნა-
ვთის საკითხი პირველ რიგში დააყენა და სანავთო ხელშეკრულობანი
დასდევა. ნავთის მოპოება იყო უდიდესი მიზანი, ეს იყო მიზანი პოლი-
ტიკის, სტრატეგიის, გამოწვეული მსოფლიო ომში გამარჯვების წყურ-
ვილით, რომლის დაკმაყოფილება მხოლოდ ნავთის მიღებით შეიძლებო-
და. გერმანიის სანავთო პოლიტიკა და სანავთო სტრატეგია უნაყოფოდ
ჩატარდა ანტანტის ამავე პოლიტიკისა და სტრატეგიის წყალობით. მა-
გრამ სჯობს სიტყვა მიესცეთ გამარჯვებული ანტანტის სანავთო საქმის
მაწარმოებელს სენატორ ბერანექს:

“უკანასკნელ თვეებში, ესეიგი იმ წუთში, როდესაც მარშალი
ფილი დიდ ბრძოლებში საბოლოო გამარჯვებას აღწევდა, ავტომობი-
ლმა დიდი როლი ითამაშა. არ შეიძლება დავიწყებულ იქნას, რომ
ომის უკანასკნელი ფაზა უმთავრესად ავტომობილის მანიორებისაგან
შესდგებოდა. ჩვენი მტრები მდიდრები იყვნენ რკინისგზის მასალებით,
დარიბი — ნავთით. შეგნებული ჰქონდა რა ჩვენი ამ დარგში უპირა-
ტესობა, გადასწყვიტა ჩვენმა უმაღლესმა სარდლობამ აქედან სარგე-
ბლობა მიელო, და ამ დუელში რომელიც მოხდა აქტოსა და ლოკო-
მოტივს შორის, გაიმარჯვა ავტომობილმა —”.

გაიმარჯვა ნავთმა. დროებითი ზვის შემდეგ გერმანიის მთელი
ტანკფლოტი, ნავთის-გადამზიდი გემები ანტანტამ ურთიერთშორის
გაინაშილა და გერმანიის მთელ სანავთო ქონებას უცალეთში დონფი-
სკაცია მოუხდინა. განაწილება მაინც და მაინც ძმური არა ყოფილა!
ყველას სურდა მეტი მიელო!

ბ. ვარდანი

ბ ი უ ჯ ე ტ ი

ჩემი წერილის მიზანს არ შეადგენს მეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელი სახელმწიფო ფინანსების შეფასებას, არამედ მსურს, რაც შეიძლება მოკლედ და მარტივად გავაშუქო საკითხი სახელმწიფო ბიუჯეტისა და მასთან დაკავშირებით სამხედრო ბიუჯეტისა და უმთავრესად კი ინტენდანტურის.

სიტყვა «ბიუჯეტი» წარმოსდგება ძველ ფრანგულ სიტყვისგან «ბოჟეტე - ბუჟეტო», რაც ნიშნავს ტომსიკას ან ტყავის ტომარას ფულებით. ეს სიტყვა ონგლისში უკვე გადაკეთებული გამოთქმით, ნიშნავდა ტყავის ტომსიკას, რომლითაც მოქონდათ პარლამენტის სხდომებზე მოხსენებანი სახელმწიფო შემოსავალ- გასავალის შესახებ.

ინგლისის შემდეგ ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით სხვა სახელმწიფოებშიც იქნა შემოღებული და დღეს თითქმის ყველგანაა მიღებული, იტალიის გარდა, სადაც ხმარობენ სიტყვას «პრევენტივო» ან «ბილანციო», რაც წინასწარ აღრიცხვას ნიშნავს.

ბიუჯეტის შედგენაში და მის ცხრილებაში გატარებაზე ყველა სახელმწიფო ძალები მონაწილეობას ღებულობენ და ამიტომაც, რასაგვირევლია, ბიუჯეტი წარმოადგენს ერთ უმთავრეს სახელმწიფო დოკუმენტს.

ბიუჯეტი, ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, — არის შემოსავალ-გასავლის გეგმა განსაზღვრულ ხანისათვის და არა ფაქტურად უკვე მომხდარი შემოსავალ-გასავალი. ბიუჯეტი ეს გეგმაა, რომელიც უზენაეს ხელისუფლების მიერ არის დამტკიცებული.

სახელმწიფო ბიუჯეტს გარდა არსებობს კერძო ბიუჯეტიც. სახელმწიფო ბიუჯეტსა და კერძო სამეურნეო ბიუჯეტს შორის არსებობს შემდეგი განსხვავება:

1) ანგარიშის მოსაზრებით და 2) პოლიტიკურის მხრივ.

ანგარიშის თვალსაზრისით იმიტომ, რომ კერძო სამეურნეო ბიუჯეტის უპირველესი მოსაზრება — მოგებაა. ამისათვის ყოველ კერძო დაწესებულების ხარჯთ-აღრიცხვაში უმთავრესად სცდილობენ, რაც კი

შეიძლება ნაკლები გასავალი, მაგრამ მეტი შემოსავალი იყოს. სახულ-წიფო ბიუჯეტში კი უპირველესად, სახელმწიფოს გასავლის დაფარვის ცდა და არა რაიმე მოვაბისა.

პოლიტიკური თვალსაზრისით განსხვავება ისაა, რომ დღევადელი ბიუჯეტი არის ხალხის წარმომადგენლების ხელში, რაც პარლამენტი რიზმის ზრდასთან მჟიდროდ დაკავშირებულია.

ბიუჯეტის წყალობით საკანონმდებლო დაწესებულება აწარმოებს კონტროლს სახელმწიფო ადმინისტრაციაზე. ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მეტად დამახასიათებელი თვისება. ეს არის აქტი, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფო ადმანისტრაციამ, რომელსაც ეკისრება როგორც პ სუბისმგებლობა, ისე მოვალეობის წესიერად შესრულება. აქ არ არის მიღებული მარტო შემოსავალი. ამის გამო პარლამენტარულ ქვეყნებში ხშირადაა შემთხვევა, როდესაც არამც თუ მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა-განაწილება, არამც თვით უბრალო ფინანსიური საკითხის გადაჭრა ხდება პოლიტიკურ პარტიათა შეჯახებისა და მთავრობათა კრიზისების მიზეზად.

ბიუჯეტი არ არის მარტო სახელმწიფოს ეკონომიკისა და ფინანსების საკითხი, არამედ იგია აგრეთვე მთელი მთავრობის პოლიტიკის კრიტიკის საგანი. საერთოდ, ბიუჯეტის განხილვა ყველა პოლიტიკური პარტიის უდიდეს საკითხს წარმოადგენს.

თვით ინსტიტუცია ბიუჯეტისა ყოველ ქვეყანაში თანდათან მეტად მკვიდრდება. ბიუჯეტან მჟიდროდ დაკავშირებულია თვით ხალხის წარმომადგენლობა და მისი მონაწილეობა მთავრობაში. დემოკრატია თანდათანობით ვითარდება და მეტი დაინტერესებით მონაწილეობს თვითი ბედ-ილბლის გადაწყვეტაში.

თვით ძველ საბერძნეთში, სადაც დემოკრატიულ ნიადაგზე იყო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, ფინანსიური საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას დებულობდა თვით ხალხი და რომელიმე ხარჯის საკითხს ხმის უმეტესობით სწყვეტდა.

აგრეთვე ძველ რომში, სადაც ხალხივე სწყვეტდა ომის საკითხსა და მასთან დაკავშირებულ ხარჯს.

საშუალო საკუნძოებში სახელმწიფო ქონებასა და მეფის ქონებას შორის განსხვავება არ იყო.

ინგლისის პარლამენტარიზმს სატუნდველი ჩაუყარა «მაგნა პარტალიბერტუმ», რომელიც გამოცემულ იქნა 1215 წელში.

ინგლისის მეფეებს ჰქონდათ თავისი ქონება; ამ ქონებასა და სახელმწიფოს ქონებას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა,

მაგრამ თუ მეფეს ფული დასჭირდებოდა, მას უნდა მიემ რია ხალხისათვის, რომელიც რაიმე ახალ საშუალებას, გადასახადის სახით, გამოუქებიდა მეფეს მისი მოთხოვნილებების დასკმაყოფილებლად. შეგვიძლია ვსთქვათ, მე-18 საუკუნეში რომ აბსოლუტიზმს ეგრე ძლიერ არ გაედგა ფესვები, ბიუჯეტის უფლება უფრო ადრე დამკვიდრდებოდა, ვინაიდან აბსოლუტიზმმა ძლიერ შეაჩერა პარლამენტარული კონტროლი.

მაგალითად: ინგლისში ასეთი კონტროლი იდგამს ფეხს მხოლოდ 1668 წ., როდესაც ტახტზე მოწყველ იქნა ვილპელმ არანელი. ამ წლამდე სტუარტებს ძლიერ ებრძოდა პარლამენტი ყოველი გადასახადის საკითხზი.

1688 წელში პრინციპიალურად გადაწყვეტილ იქნა: — არამც თუ გადასახადების დამტკიცება ეკუთვნის პარლამენტს, არამედ სახელმწიფო გასავალის კონტროლი; ასე რომ, დღევანდელი ბიუჯეტის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებანი უკვე მაშინ არსებობდენ.

ყოველი გადასახადი უნდა ყოფილიყო თემთა პალატის მიერ მიღებული და დამტკიცებული. ასე რომ 1688 წ. შეიძლება ჩაითვალოს წელიწადათ, როდესაც ინგლისში წარმოიშვა ბიუჯეტი.

მეორე ქვეყნა, სადაც ბიუჯეტის ელემენტები თავს იჩენენ და თანათან ვითარდებიან, არის ამერიკის ახალშენები, რომელიც 1776 წ. ინგლისს ჩამოსცილდენ. ამ ამერიკის კოლონიებს მათ გამოყოფამდე განა გებდენ ინგლისის მიერ დანიშნული მმართველები, მაგრამ ახალშენებს თავიდანვე ჰქინდათ ის უფლებანი, რომ მათ მიერ ამორჩეული წარმომადგენელნი ამტკიცებდენ ახალშენებისათვის საჭირო ბიუჯეტს. მართალია, ინგლისმა მოინდომა მათ დაუკითხავად გადასახადების შემოღება ამერიკაში, მაგრამ ამან გამოიწვია ამერიკელთა მხრივ დიდი პროტესტი და ბრძოლაც; 1774 წ. ინგლისი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ფილადელფიის დეკლარაციაზე, რომლითაც ის უარს ამბობდა კოლონიებზე გადასახადების დადების საკითხში, თუ ამაზე თვით კოლონიები თანახმა არ იქნებოდენ.

თანათანობით ბიუჯეტის უფლება ყველგან იმარჯვებს, ხოლო მის ისტორიას ჩვენ აქ ვერ გავყვებით.

—

საერთოდ ბიუჯეტს აღენენ ერთი წლით, ვინაიდან ეს უფრო ახლოა სინამდვილესთან და კონტროლისთვისაც ადვილია მისი შემოსავალისა და გასავალის კონტროლის მოხდენა; ამას გარდა, როდესაც ბიუჯეტი წლიურია, ძალაუნებურად საჭირო ხდება ყოველწლიური საბიუჯეტო სესიების მოწვევა და მხედველობაში რომ არ მივიღოთ ადმინის-

ტრატიული, ფინანსიური და ეკონომიური მხარეები, თანამედროვე საქართველოს საქართველოში ეს პოლიტიკური მხარე საკმარისია, რომ ბიუჯეტი წლიური იქნება.

ბიუჯეტის შემუშავებისას საჭიროა. რაც შეიძლება დაწვრილებითა და სინამდვილით იქნეს წინდაწინ აღრიცხული ყოველი სახელმწიფო მოთხოვნილება, რომ ბიუჯეტის სისრულეში მოყვანის დროს მისი დანაკლისი არ აღმოჩნდეს. მთავრობის მიერ ყოველი დამატებითი ბიუჯეტის წარდგენა პარლამენტისათვის ბიუჯეტის უარყოფითი მხარეა და ნიშნავს არა სწორ შემოსავალ-გასავლის შედგენას.

წესიერად დამზადებული ბიუჯეტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს, რომელიც ყველა სახელმწიფოში მიღებული არიან: —

ბიუჯეტის სისწორე, ყოველმხრივობა, მთლიანობა, დაწვრილებითი შედგენა, და იგი უნდა ეხებოდეს ერთ მთლიან ტერიტორიას.

თვისება სისწორისა გამოიხატება იმაში, რომ ბიუჯეტის სისრულეში მოყვანის დროს, თანხა, რომელიც იქ არის აღნიშნული, მართლაც იფარებოდეს ფაქტიური შემოსავალ-გასავლით.

თვითეულ სახელმწიფოში ცდილობენ, რომ ბიუჯეტში მოათავსონ ისეთი გასავალ-შემოსავალი, რომელსაც აქვს თავისი გამართლება, სავალდებულო კანონმდებლობაში. თუ კანონმდებლობა და დადებული გელშეკრულებანი სისუსტით აღნიშნავენ თანხისა და აგრეთვე გადასახადის ვადას, მართლაც ეს თანხები პრელიმინაციიან არ განსხვავდებიან (სიტყვა პრელიმინაციი ნიშნავს წინასწარ აღრიცხვას). მაგრამ ჩვენ აქ უნდა მიეროოთ მხედველობაში ორი მოვლენა: —

1). თანხა, რომლის სისუსტითა და დაწვრილებით აღრიცხვა შესაძლოა. ამ ჯგუფში შედიან თანხები, დანამდვილებით აღნიშნული კანონმდებლობითა და ხელშეკრულებებით, როგორც მაგალითად, განსაზღვრულ ხანაში ნაწილობრივი თანხების გარდა, მთავრობის მიერ ნაყიდან გაყიდულ უძრავ ქონებისაგან; შემდეგ, ყველა ის გადასახადი, რომელიც, წინდაწინვე შედგენილი გეგმის თანახმად, აუცილებელია, როგორც მაგალითად: პროცენტი სახელმწიფო ვალისაგან, საამორტიზაციო ნაწილობრივად შემოსატანი თანხები, მონაბოლიისაგან შემოსავალი, როგორც მაგალითად, სახელმწიფო ლოტორეა, სადაც წინდაწინაა გამოანგარიშებული დანამდვილებით, რა შემოსავალი ექნება სახელმწიფოს ამ წარმოებისაგან.

2). აღეატორული თანხები ესე იგი ისეთი თანხები, რომელთა დაახლოებითი გამორკვევა შეუძლებელია.

სახელმწიფონი, რომელთა ფინანსიური ადმინისტრაცია კარგად არის დაყენებული, გაუზრდიან ყოველივე ასეთი შემთხვევითი ხასიათის თანხებსა და სცდილობები ისეთ შემოსავალზე დაეყარონ, რომლის და-ახლოვებით გამორკვევა მაინც შესაძლებელი არის.

პრელიმინაციუნდა იფარებოდეს, ცოტა განსხვავებით, სახელ-მწიფოს შემოსავალ-გასავლით, და მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტი რეალურია.

ბიუჯეტის ყოველ მხრივ გამოიხატება იმაში რომ იგი უნდა შეიცავდეს სახელმწიფოს ყოველგვარ შემოსავალ-გასავ-ლის აღნიშვნას განსაზღვრულ ხანისათვის.

თვისება ყოველმხრივობისა, ცოტად თუ ბევრად, უახლოვდება დაწრილებითობის თვისებას, რომლის შესახებ შემდეგში გვექნება ო-პარაგი. ბიუჯეტი, რომელიც არ შეიცავს ყოველ შემოსავალსა და გა-სავალს, როგორც ჩვეულებრივს, აგრეთვე განსაკუთრებულს, მუდმივს თუ შემთხვევითს, არ წარმოადგენს კარგ ინსტრუქციას შესრულებისათ-ვის და არც შეიძლება იქნეს კონტროლის საშუალებად ან საფუძვლად, რა ეს ორი თვისება კი არის უმთავრესი ნიშნები კონტროლის მოხდე-ნის დროს.

თვისება ბიუჯეტის მთლიანობისა არის დამყარებული იმა-ზე, რომ ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი უნდა იქნეს ისე გარკვევით და-ლაგებული საანგარიშოდ, რომ იძლეოდეს ორიენტაციის საშუალებას მის საბოლოო შედეგზე. მთლიანობის თვისება დაცულია მაშინ, თუ ერ-თი ბოლო ციფრი გამოხატავს, რომ ბიუჯეტი არის დახურული დანაკ-ლისით ან გასავალისა და შემოსავალის თანასწორობით.

წინააღმდეგ მთლიანობის თვისებისა, არის ფონდების სის-ტემა, რომელიც დამყარებულია შემოსავალ-გასავალის წყაროების და-ჯუფუებაზე, ცალცალკე განკოტილებებით და არი საერთო ნუსხით.

მართალია, ფონდის სისტემა ცოტა ჩრდილავს საერთო ორიენ-ტაციას, აძნელებს კონტროლს და ქმნის სიძნელეს ბილანსში, მაგრამ აქვს თავისი დადებითი მხარეებიც, ვინაიდან აერთებს ყველა ერთგვარ შემოსავალს და გასავალს. ფონდთა სისტემის რაციონალური წარმოებაც შეიძლება, თუ უკანასკნელ სალითოებს გადავიტანთ საერთო ბიუჯეტში. ამდავარად, შეიძლება ლოლიკურად და სისწორით ერთი ბიუჯეტის ფარგლებში გაატაროთ წარმოებანი კონკურენტული და მონოპოლური, რკინიგზები და სხვა. ყოველივე ცალკე წარმოების ანგარიში უნდა შე-ადგენდეს ცალკე ფონდს, რომელიც უნდა გამოხატავდეს წმინდა შემო-სავალს ან ზარალს, თანახმად კერძო წარმოების ჩვეულებისა და წესდე-ბისა; მაშინ ეს დაწვრილებითი ანგარიშები დაერთკიან საერთო ბიუჯეტს

ზემოაღნიშნული მეთოდი თუ არის კონსექვენტურად გატარებული, მთლიანობის თვისებას ხელს არ უშლის და ამასთანავე ბიუჯეტის ყოველმხრივობის დაცვასაც ხელს უშებობს.

თვისება დაწვრილებისა, ყოველმხრივობის თვისების გაფრაქცება, რომელიც სახელმწიფოს მთელ შემოსავალსა და გასავალს შორის სრულ შეთანხმებას მოითხოვს. ამ თვისების მიხედვით ბიუჯეტში ძლიერ დაწვრილებით გათვალისწინებული უნდა იქნეს ყოველი, პოზიტივია. ამ მხრივ ძლიერ შორს წავიდა ინგლისის ბიუჯეტი, რომელშიც ყოველი წერილმანი თანხა არის აღრიცხული პოზიციად, როგორც მაგალითად: შემოსავალი ბრიტანეთის მუზეუმში და ნაციონალურ გალერეაში გაყიდული კატალოგებიდან. მუზეუმში შესასვლელი ბილეთებიდან შემოსავალი და სხვა ბევრი ამგვარი წერილმანი.

მთელ ტერიტორიაზე ბიუჯეტი ერთი უნდა იყოს. არაა სასურველი, რომ საერთო სახელმწიფო ბიუჯეტს გარდა, არსებობდეს სხვა რაიმე ბიუჯეტი სახელმწიფოს რომელიმე ნაწილისათვის ან მისი კოლონიისათვის. ეს თვისება დაკავშირებულია მთლიანობის თვისებასთან და უფრო მის განვითარებას ნიშნავს.

ბიუჯეტის თვითეული პოზიციის თანხის გამორკვევისათვის შეფასების საშუალებები სხვა და სხვანია; ამ საკითხში ფინანსთა მიმისტრს ეძლევა სრული თავისუფალი ხელი; გამონაკლისია გერმანია, სადაც ფინანსთა მინისტრის უფლება კონსტიტუციით შეზღუდულია

ბიუჯეტის შედგენის დროს საჭიროა გამოყენებულ იქნეს ყოველი საშუალება, რომელიც თანხების გამორკვევას უფრო დანამდვილებით და სისწორით ხელს შეუწყობს.

1). შემოსავალ-გასავალი, რომელიც ერთსა და იმავე თანხას არ აღმატება და ყოველწლიურად მეორდება, შეაქვთ ბიუჯეტში, წლის ბოლოს საანგარიშო წიგნების დახურვის თანახმად.

2). ის შემოსავალ-გასავალი, რომლის თანხა მუდმივი არ არის და ხშირად იცვლება, გამოანგარიშებული უნდა იქნეს ყოველი ბოლო წლის საშუალო ციფრებით. ამასთანავე, რასაკვირველია, მხედველობა-ში მიღებულ უნდა იქნეს ფასების მომატებისა და დაკლების ტენდენცია

3). განსაკუთრებითი შემოსავალ-გასავალი, ანუ ისეთი, რომელიც ეხებიან წარმოებებს, შეტანილია ბიუჯეტში სპეციალისტების რჩევის თანახმად.

ძლიერ ხშირად ფინანსთა მინისტრები განზრახ დაბალ ფასებში აღასებენ შემოსავლებს, რათა ამით წლის ბოლოს იქონიონ რაიმე ზედმეტი თანხა.

რასაგვირველია, პოლიტიკური და ფინანსიური მოსაზრებებით შეიძლება ასეთი მოქმედების გამართლება, მხოლოდ მეცნიერულის მხრივ კი არა.

ასე იქცეოდა რამოდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის ფინანსთა მინისტრი ვიშნევრაცხვი. ამ ზედმეტ შემოსულ თანხების წყალობით სახელმწიფოს ოქროს ფონდი იზრდებოდა.

სახელმწიფოს ფინანსიური თეორია აცალკევებს კერძო მეურნეობას სახელმწიფო მეურნეობისაგან. სხვა განმასხვავებელ თვისებათა შორის იგი აყენებს შემდეგ საფუძველს: — სახელმწიფო მეურნეობა თავის შემოსავალს ამყარებს გასავალზე; მაშინ, როცა კერძო მეურნეობა თავის გასავალს ამყარებს შემოსავალზე. სახელმწიფო მეურნეობის ეს ხასიათი, რომელიც პირველად ყოვლისა, გასავალის გამორკვევას მოითხოვს და შემდეგ, შემოსავალს არკვევს — კნობილია ვობანის თეორიის სახელით.

თანამედროვე სახელმწიფოებმა პრაქტიკულად უგუაგდეს ვობანის თეორია, გადავიდნე კერძო საკუთრების მეურნეობის მეთოდებზე ე.ი. ისინი გასავალს შემოსავალზე ამყარებენ. ამ გზით მიღიან თითქმის ყველა სახელმწიფონი, ბრიტანეთის გამოუკლებლადაც კი.

ამ მხრივ ალსანიშნავია 1921 წ. ივლისის 29-ს, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის დუმერის მიერ გამოთქმული აზრი: —

1). ბიუჯეტში უნდა იქნეს თანასწორობა გაბატონებული, გასავალის მინიმუმად შემცირებით, რომელიც უნდა იქნეს გადასახადების სახით შემოსულ სახელმწიფოს თანხებზე დამყარებული.

2). ბიუჯეტის გარეშე ყოველი გასავალი უნდა მოისპოს. სახელმწიფო გასავალი უნდა ეთანხმებოდეს ბიუჯეტის კრედიტის უფლებას, გამორკვეულს და განსაზღვრულს, რომელსაც აქვს ბიუჯეტში თავისი დასაფარავი თანხა, კონტროლს დაქვემდებარებული-ო.

ორი დამახასიათებელი ხანაა ალსანიშნავი მთელი ბიუჯეტის შექმნის დროს: ერთი ტეხნიკური ესე იგი მისი შემუშავება და მეორე, გადამწყვეტი ესე იგი მისი მიღება.

ბიუჯეტის შემუშავების დროს მთავრობის მოვალეობა შემდეგ ში გამოიხატება:

დაახლოვებით მიმდინარე საბიუჯეტო წლის შუაში, ფინანსთა მინისტრი გამოსცემს ინსტრუქციას მომავალი წლის ბიუჯეტისათვის. ამ ინსტრუქციაში ის იძლევა სახელმძღვანელო ნორმებს ბიუჯეტის შემუშავებისათვის, მაგ. სხვა და სხვა ფორმალური მხრივ სავალდებულ

განკარგულებებსა და წესდებებს; ნიშანვს დროს, წესებს თვითეული განსავალისათვის, საშუალებებს მათი გამორკვევისათვის და ვადას, თუ რო დის უნდა იქნეს მის განკარგულებაში გადაგზავნილი სხვა და სხვა რესორტების მიერ შეღენილი ბიუჯეტის პრელიმინაციი. დანიშნულ დროზე ყველა სამინისტრო ვალდებულია წარუდგინოს თავისი ბიუჯეტის პრელიმინაციი, დაწვრილებით დასაბუთებული. ამ ბიუჯეტის პრელიმინაციის შეერთება და ერთ სახელმწიფო ბიუჯეტის პრელიმინაციის შედეგენა არის ფინანსთა მინისტრის მოვალეობა. როცა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ყველა პროექტი იქნება დამუშავებული, ფინანსთა მინისტრი არდევნს მას მინისტრთა საერთო თათბირზე, რომელზედაც იქნება განხილული და თუ საჭიროება მოითხოვს, შესწორებულიც.

ზოგიერთ სახელმწიფო ში ფინანსთა მინისტრს ეძღვევა განსაკუთრებული, დიქტატორული უფლებები, რომელ ფინანსიურ და ეკონომიკურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორც ეს იყო პოლონეთში ფინანსთა მინისტრის გრაბსკის დროს. ძლიერ დამახასიათებელია მისი განკარგულება (1924 წ. ივლისის 7-ს): —

„კინაიდან 1925 წლის შემოსავალი არ იქნება მეტი, ვინედ ეს იყო 1924 წ., სახელმწიფო გასავალი 1925წ. უნდა იქნეს 1924 წლის ბიუჯეტის ფარგლებში; თუ ვინიცობაა, რომელიმე სამინისტროს პროექტი არ იქნა შედგენილი თანახმად ამისა, მაშინ თვით ფინანსთა მინისტრი თავისი შეხედულებით დაიმუშავებს ამ სამინისტრო პროექტს»-ი.

ამიტომ გასაკვირველი ას არის, რომ 1925 წლის პრელიმინაციი
იყო იდეტურული 1924 წ.

მინისტრთა თათბირზე ბიუჯეტის მიღების შემდეგ იგი წარედ-
გინება პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად. ყველა პარ-
ლამენტარულ სახელმწიფოში ბიუჯეტის განსახილველად დანიშნულია
სპეციალური სესიები და ამ სეიმის დათხოვნა ან დაშლა შეუქლებელია
მანამ ბიუჯეტის სესიები არ დამთავრებულან. პარლამენტში არიან კო-
მისიები დარგების-და-მიხედვით. ბიუჯეტის მთელი პრელიმინაცი დანა-
წილებულია ამ საგანგებო კომისიებში განსახილველად და სეიმისათვის
მოსახსენებლად.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს სამ ნაირი საბიუჯეტო კომისია:

1). ინგლისში ფინანსთა მინისტრს შეაქვს პროექტი თემთა პალატაში და მეფის სახელით მის დამტკიცებას მოითხოვს. მინისტრის სიტყვის შემდეგ მთელი პარლამენტი დაუყონებლივ შეუდგება ბიუჯეტის პრელიმინაციის განხილვას.

პარლამენტის წევრთა მოთხოვნით თემთა პალატის თავჯდომარებულის სტოვებს თავჯდომარებობას. პალატა ირჩევს კომისიის თავჯდომარებს, რომელიც ადის ტრიბუნაზე და იკავებს თავჯდომარის აღილს. კომისიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თემთა პალატის ყველა წევრებს, რომელიც კი ამას მოისურვებენ; თათბირი საიდუმლოა, მთავრობა იძლევა საჭირო განმარტებებს.

2). მეორე სისტემა, დამყარებული წევრთა წლის განმავლობაში შეცვლაზე, შემოღებულია საფრანგეთში.

3). ხოლო მუდმივი წევრებისაგან შემდგარი კომისიები, ამორჩულნი ერთი წლის ვადით ან, როგორც ამერიკაში, დანიშნული კონგრესის თავჯდომარის მიერ, პარლამენტის არსებობის განმავლობაში, წარმოადგენს მესამე სისტემას.

კომისიის სხდომები არიან ლია ან ფარული. რაც კომისიის წევრებს შეეხება, მათ ირჩევენ ან მიუხედავად პოლიტიკური დაჯგუფებისა სეიმში, ან-და თვით პოლიტიკურ დაჯგროვებათა მიხედვით არის მთელი ბიუჯეტი დანაწილებული კომისიებში.

ამ კომისიებში დაწვრილებითი განხილვისა და საჭირო ცვლილებათა შეტანის შემდეგ, ბიუჯეტის პრელიმინაციი სეიმის თავჯდომარებს წარედგინება. ამის შემდეგ პარლამენტში იგითხება სამჯერ. სეიმი უმრავლესობის ხმით ამტკიცებს, ჯერ ბიუჯეტში აღნიშნულ შემოსავალს და შემდეგ კი გასავალს.

სეიმის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტი სეიმის თავჯდომარის მიერ სენატს ეგზავნება. სენატის უფლება და გავლენა არის მხოლოდ მორალური, რადგანაც შემოღებული წესის მიხედვით, სენატმა კიდეც რომ არ მიიღოს იგი, თუ მეორედ სეიმმა უმრავლესობით ისევ დაამტკიცა, ბიუჯეტი ძალაში შედის და ამ უამიდან ბიუჯეტის პრელიმინაციი ხდება ბიუჯეტად.

თითქმის ყველა სახელმწიფოში ბიუჯეტის პრელიმინაციის დამტკიცების სისტემა ერთნაირია, ცოტა გამონაკლისით.

ხშირი მოვლენაა, რომ ბიუჯეტში აღნიშნული თანხა არ არის საკმარისი. მაშინ მთავრობა ვალდებულია წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად დამატებითი ბიუჯეტის პრელიმინაციი.

ბიუჯეტი დამტკიცებისათანავე ხდება ადმინისტრაციის სამოქმედო საფუძვლად. ყველა შემოსავალი და გასავალი თანახმად ბიუჯეტისა უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი; ამისათვის აღმსრულებელი ორგანო ბიუჯეტის სისრულეში მოყვანის როოს ვალდებულია ბიუჯეტის სათანადო პოზიცია მოიხსენიოს. მას ევალება შეასრულოს ყოველივე

როგორც ამას ბიუჯეტის პოზიცია მოითხოვს და ნება არ აქვს ამ პოზიციას გადააჭარბოს.

ეგრედ წოდებული «ვირმან»-ი ესე იგი კრედიტის გადატანა ერთი სამინისტროს რესურტიდან მეორეში და თვით სამინისტროს ფარგლებში ერთი განყოფილებიდან, პარაგრაფიდან ან პოზიციიდან მეორეში — შეუძლებელია პარლამეტის დაუკითხავად, თუ თვით საფინანსო კანონი ამის ნებას არ იძლევა.

ფინანსთა მინისტრის როლი ბიუჯეტის განხორციელებაში ძლიერ მნიშვნელოვანია და თუ წარასტორობა ბიუჯეტისა შეირყა, მის მოვალეობას შეადგენს მიიღოს ენერგიული ზომები მის გაჯანსალებისათვის; ამიტომ არის, ზოგიერთ სახელმწიფოში მინისტრს უფლება ეძლევა მხოლოდ თვიურად (ტანგენტებით) გასცეს საჭირო თანხა, ამრიგად, მთელი კრედიტი მის ხელში არის.

ინგლისში მთელი მანიპულაცია კერძო ბანკების საშუალებით ხდება, რაც ბევრად უფრო იაფი, სწრაფი და ადვილია, ვიდრე ბიუროკრატიული დაწესებულებანი, მით უმეტეს, რომ იქ ჩეკების სისტემა ძლიერ გაფრცელებულია.

ჩრდილოეთ ამერიკაში ის აუარებელი თანხა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტს შეადგენს, ფინანსთა სეკრეტარს გადააქვს ფედერატიულ ბანკებში.

პოლონეთში «ბანკ პოლსკი» 1924 წლის დეკრეტის ძალით ვალიდულია მიიღოს ფინანსთა მინისტრის მოთხოვნილებით, ყოველი შემოტანილი თანხა და უფასოდ აწარმოოს მისი მანიპულაცია. აგრეთვე «მომჭირნეობის საფოსტო სალარო»-საც შეუძლია ამ გვარი საქმის წარმოება.

ბიუჯეტის წლის გათავებისას დგება საკითხი: შესაძლოა თუ არა ძველი ბიურეტის რაიმე სამეურნეო აქტი იმავე ბიუჯეტის ძალით იქნეს სისტემულები მოყვანილი. ამ საკითხში არსებობს ორი უმთავრესი სისტემა: —

1). სისტემ ლეგისერსის და 2). სისტემ უესტიონ. განსხვავება მათ შორის შემდეგია: —

პირველით ბიუჯეტს უფლება ეძლევა ვადის დასრულების შემდეგაც გაგრძელებულ იქნეს. იმის მიუხედავად, რომ ვადა გავიდა, ამ სისტემის წყალობით შეიძლება ძველი ბიუჯეტის ძალაუფლებით გადასახადები გადახახდევინო და შემოსავალის-და-გვარად მოახდინო გასავალი.

მეორე სისტემით კი წლის გასვლისათანავე ბიუჯეტი ძალას ჰქონდება და შემოსავალ-გასავლის მოხდენა შეიძლება მხოლოდ ახალი ბიუჯეტით.

პირველ სისტემის წმინდა ანგარიშის თვალსაზრისით ა'ვს დადებითი მხარე და ამას გარდა, იძლევა საშვალებას სწორი სურათი მოგვცეს სახელმწიფო მეურნეობაზე, მაგრამ ადვილია ბოროტმოქმედება როგორც მოხელის მხრივ, ისე აგრეთვე სახელმწიფოს მხრივ, ვინაიდან ადმინისტრაცია ყოველთვის გააჭიანურებს, ნებით თუ უნებლიერ, გასული წლის ბიუჯეტის დახურვას.

მეორე სისტემის მიხედვით (სისტემ უესტიონ), თუ რომელიმე თანხა არ იქნა აკრეფილი და მოხმარებული დროზე, იმის აკრეფა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალ ბიუჯეტში იქნება აღნიშნული.

ამ სისტემის განხორცილება ადვილია ისეთ სახელმწიფოში, სადაც სახელმწფო აღმინისტრაციას შეუძლია დაუყონებლივ მისი სისრულეში მოყვანა და არავითარი დაბრკოლება მას არა ხვდება, როგორც ეს არის ინგლისში. უარყოფითი მხარე ამ სისტემისა იმაში გამოიხატება, რომ ხშირად ის ფულის გაფლანგვას უწყობს ხელს, ვინაიდან წლის ბოლოს, როდესაც დაინახვენ, რომ რაიმე თანხა ამოწურული არ არის და მოუხმარებელი დარჩა, სცდილობენ მის დახარჯვას და ხშირად სრულებით უსაფუძვლოდ.

ტეანიკურ მოსაზრების გამო ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგ. პოლონეთში) დაშვებული არის შედავათის ხანა, რომლის განმავლობაში შესაძლოა, ფინანსთა მინისტრის ნებართვით. გაცემული იქნეს წარსული წლის კრედიტები, თუ ისინი არ არიან ამოწურული. ფინანსთა მინისტრი თავის განკარგულებაში აღნიშნავს, ამოწურული თანხებიდან რომელი თანხების გაცემა შესაძლო.

ბ. ქ — ძ

ს ა მ გ ა რ ი

მოქმედებანი მთაში

მოძრაობა

მთაში საარული დატვირთულ ჯ.კაცისთვის დიდ მუშაობას წარმოადგენს; აღმართ-დალმართში მოძრაობა განუწყვეტელი ვარჯიშობაა არა მარტო კუნთებისათვის, არამედ აგრეთვე, გულისათვისაც და ამ მუშაობის სიძნელე კიდევ უფრო გაზეიადებული არის თვით ადგილას სიმალის გამო.

სიმაღლეებში, როგორც ვიცით, პაერის შემადგენელ ნაწილთა პროპორცია იცვლება; ზღვის პირის დონეზე ბარომეტრის წევა უდრის 750 მილიმეტრს, 500 მეტრის სიმაღლეზე უკვე 714 მმ. უდრის, 1000 მეტ-სიმაღლეზე — 670 მმ-ს და 3000 მეტრზე კი მხოლოდ 522 მმ-ს უდრის.

რაც უფრო მაღლა ავდივართ მით უფრო პაერი ღარიბდება ეანგ-მანით და ნახშანგით; მაშასადამე სისხლი, რომელიც ფილტვების საშვალებით იშმინდება და ლებულობს საჭირო ეანგმანს, თან და თან ღარიბდება ამ უკანასკნელით.

ეანგმანის ნაკლულობა ორგანიზმში ჩატვევს რეაციას, რომელიც გამოიხატება ფილტვებში სისხლის ჭარბობით, რომლის წინააღმდეგ მუშაობაში გული ძლიერ ილება.

რაც შეეხება ნახშ-ეანგს, რომელიც ნერვიულ ცენტრებზე მოქმედებს, მისი მეტის მეტი შემცირება იწვევს ცუდად გახდომას, რაც ხშირია მთაში და საერთოდ სიმაღლეებში.

ასე რომ მარტო თვით სიმაღლე საკმარისია გულის მუშაობის გასაძლიერებლად და თუ ამას დაუმატებთ იმ მუშაობას, რომელსაც დატვირთული აღამიანი ეწევა აღმართ-დალმართში სასიარულოდ, ადვილად წარმოიდგენთ თუ რამდენად ილება ჯ.კაცი მთაში მოქმედების დროს. აი ამიტომ უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ზედმეტი მოძრაობა და ზედმიშვევნით შევისწავლოთ მთაში საარულის გამადვილებელი პირობები.

მოძრაობის მომზადება

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მთაში სასიარულოდ რუქების სიზუსტეს და მათ მიერ ყოველი წვრილმანის აღნიშვნას ყოველი მცმართულება და გზასავალი წინასწარ უნდა იქნეს შესწავლილი დეტალურად; მანძილები და სხვა და სხვა პუნქტთა შორის დონეს განსხვავება, წყაროები და ტყეები გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული რუქაზე.

ერთი ოფიციერი სპეციალურად უნდა იქნეს დანიშნული და დაევალოს გზის შესწავლა მგზავრობის წინ. მან უნდა შეადგინოს გზის მიმოხილვა და სიარულის პროგრამა, რომელიც ასარჩევად და დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ჯარის უფროსს.

ზემოხსენებული ნაშრომი უნდა შეიცავდეს გზის ნაირობის განხილვას, ყოველი საინტერესო დეტალების აღნუსხვით: დიდი აღმართი, წერო, ხევი, ტყე, დასასკნებელი ადგილები და სხვა, უნდა აღნიშნულ იქნენ. გარდა ამისა, როცა კი შესაძლებელია ყოველთვის უნდა ვისარგებლოთ გზის მაჩვენებლებით, რომელიც უნდა არჩეულ იქნენ აღვილობრივ მცხოვრებთა შორის და იყვნენ ამავე დროს სანდო პირები.

მთაში ყოველგვარი გზის შემსრულებელი დიდად სახიფათოა არა მარტო ტა'ტიკურის მხრივ, ასამეც იმ ზედმეტი დაღლილობის გამო, რომელიც ჯარს თავს აწევს აღმა-დაუმა გზა-აპნეული ხეტიალის დროს.

ამავე დროს ის უფროსი, რომელსაც გზა აებნევა და არ იცის საით წავიდეს, ჰკარგას ხელქარითთა თვალში ყოველავე მორალურ უპირატესობას.

ყველა ზემოხსენებული დებულებათა გამო, მთაში სასიარულოდ, გაცილებით უფრო, ვიდრე ბარში, საჭიროა გზების და არე-ჰარის ზედმიწევნით შესწავლა.

გზასავალის სიგრძე

ბარად სიარულის დროს გზასავალის სიგრძეს კილომეტრების მიხედვით ანგარიშობენ; მცდებული არის რომ, ჩეულებრივი—დღიური გზასავალი უდრის 25 კილომეტრს; მთაში კი, ორ წერტილ შორის ჰორიზონტალურ მანძილს არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც ამ წერტილთა შორის დონეს განსხვავებას.

გამოცდალების მიხედვით მთაში სიარულის სიჩქარე შემდეგია:
აღმართში დაღმართში

უტვირთო ჯარისკაცი —	400	მეტრი.	600	მეტრი	საათში
დატვირთული ჯ.კაცი —	300	"	500	"	"
საბარგო ჯორები —	400	"	300	"	"
რაზმი ქვ. ჯარისაგან და					
საბარგო ცხოველებიდან —	300	"	300	"	"

აქვე აღნიშნავთ, რომ ჯარისკაცებს აბრკოლებენ ცხოველები და მართვები თში, და ცხოველებს კი — ჯ. გაცები აღმართში. ამის გამო როდესაც პირობები ნებას გვაძლევენ სიჩქარისთვის უმჯობესია ჯარის და საბარ-გოების ცალ-ცალკე მგზავრობა.

ეჭვს გარეშე, რომ საბრძოლო მოქმედების დროს ეს ყოფლად შეუძლებელია და ყოველი ჯარის ნაწილი თავის საბარგულებთან ერთად ასრულებენ გზასავალს. მაშასადამე მისი სიჩქარე 300 მეტრი აღმართში და 300 მეტრი დალმართში უნდა ჩაითვალოს ნორმალურად.

ადამიანის და ცხოველების სიარულში განსხვავების გამო, ხან ერთნი არიან დაბრკოლებული და ხან მეორენი; ამის თავიდან აცილება შეიძლება ჯარის და საბარგოთა შთრის განსაზღვრულ მანძილის დაკავებით. მაგრამ ეს სავსებით დამოკიდებულია მდგომარეობაზე და პირობებზე. როდესაც ანგარიშობენ თუ რამდენი დრო არის საჭირო ერთი წერტილიდან მეორემდე მისალწევად, პირკელად ყოვლისა უცულებლად უნდა გამოვარკვიოთ ამ ორ წერტილთა შორის დონეს განსხვავება ან და მათ შორის აღმართ-დალმართთა დონეების განსხვავებათა ჯამი.

შემდეგ, მიღებული რიცხვი უნდა გავყოთ ზემო მოყვანილ ცხრილის მიერ ნაჩვენებ რიცხვზე და ამას უნდა მიუმატოთ დიდი დასვენების დრო და აგრეთვე სწორ ადგილებზე სიარულში დახარჯული დრო:

როდესაც რუსები სწორი არ არის და უშერეს შემთხვევაში მათ აკლიათ სიზუსტე, დროს გამოანგარიშება მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება და ამის გამო ყოველთვის უმჯობესია დროის ზედმეტად აღება, რათა ზედმეტ-დრომ ანაზღაუროს რუსის მიერ გამოწყვული შეცდომები.

სამგზარო წყობა მთაში

მთაში გზატკეცილები იშვიათია და უმრავლეს შემთხვევაში ბილიკებზე უხდება ჯარს სიარული; ამის გამო სამგზარო წყობა დამოკიდებულია გზების სიგანივრეზე. საზოგადოთ მიღებულია ერთ-მწერივი წყობა, რომლითაც ყოველ-ნაირ გზაზე შეიძლება სვლა.

როდესაც შევდივართ მთაში იძულებული ვხდებით ვისარგებლოთ ბილიკებით და, მაშასადამე, ვიაროთ ერთ-მწერივიან წყობაში. მართლაც, თუ პირდაპირ იერიშზე არ მივდივართ, მხოლოდ ამგვარ წყობაში მოგვიხდება სიარული თითქმის ყოველთვის.

რასაკვირველია, ასეთი წყობა ადვილად დასაზიანებელია და მოუხეშავი, მაგრამ ვიდრე ვიწრო ხეობების გავლა არ გვიხდება, მაინც, თავის დაცვა ადვილია, რადგან ჯარი ამგვარ წყობაში კილომეტრების სიგრძეზე არის გამჭკრივებული და ან ფერობდებზე ან ქედებზე იმყოფება; ამ გვარად, ერთი დაბლობში არის, მეორეს მაღლობები უჭირავს და ერთმანეთს იცავენ.

ფრთხებზე თავდაცვა კი სრულიად ადგილია, ვინაიდან საკმარის სია მარცხნივ ან მარჯვნივ მიბრუნდეს მთელი მწყრივი, რომ დაუყონებლივ საბრძოლო წყობა მიიღოს და ცეცხლით უპასუხოს ამა თუ იმ მხარეზე მოსულ მტერს.

მოწინააღმდეგეს შეუძლია ხან ერთ ადგილს დაეცეს, ხან მეორეს, ან შორიდან ცეცხლით დააბრკოლოს ამ გვარ წყობაში მყოფი ჯარი. მაგრამ მისი მოგერიება ძნელი არ იქნება თუ სამგზავრო დისციპლინა კარგად არის დაცული და ყველა უფროსები თავიანთ ადგილზე არიან.

მაგრამ, როდესაც ჯარი იძულებულია გაიაროს ოღონ-ჩოლო ადგილები, ვიწრო ხეობანი და ულელტეხილები, სადაც ჯარის სხვა და სხვა ნაწილები ერთი მეორეს მოწყვეტილნი და დაშორებულნი არიან ამა თუ იმ ბუნებრივ დაბრკოლებით, ან კიდევ როდესაც მას უხდება ვიწრო ხეობის გავლა, რომლის ქედები არ არის დაცული, მტერი ყოველთვის ეცდება ეს ქედები დაიკავოს და ერთ-ერთ განცალკევებულ ჯგუფს თავს დაესხას. ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლად, გარდა წინმცველისა და უკანმცველისა, საჭიროა ფრთხების დაცვა უძრავ ან მოძრავ გვერდ-მცველებით.

უმეტეს შემთხვევაში, ქვეითი ჯარის მოძრავ გვერდმცველად ხმარება შეუძლებელია, რადგან მოძრავ გვერდმცველს უბილიკოდ და უგზოდ უხდება გადალახვა ქედებისა და ხევების, რომელნიც პერპენდიკულიარულად მდებარეობენ მთავარი ჯარის მიერ ალებულ მიმართულებასთან.

ამ პირობებში გვერდმცველი ქვეითი ჯარი მოკლე ხანში მეტის-მეტად ილება და მეორეს მხრივ ეს ისე შეაფერხებს მთავარი ძალების სვლას, რომ თითქმის ადგილობრივ მოუხდება დგომა, ან დლიურად გა- ვლილი მანძილი ძალიან მოკლე იქნება. ამ რიგად, მოძრაობის უნარის დაგარგვით ჯარი კარგავს მოულოდნელად თავდასხმის უპირატესობას და მაშასადამე მოუხდება ცუდ პირობებში ბრძოლა; რადგან მისი ნელი-სვლა დროს აძლევს მტერს ძალების შესაკრებად და სამოქმედოთ.

მაინც არ შეიძლება გადაჭრით უარყოფა ქვეითი ჯარის მაძრავ გვერდმცველთა ხმარებაზე და მისი გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია.

რაც შეეხება უძრავ გვერდ-მცველისთვის ქვეითა ჯარის ხმარებას, შესაძლებელია ეს გამოწვეული იქნას სხვა და სხვა განსაკუთრებულ პრობათა მიერ და ამ შემთხვევაში ამგვარი გვერდმცველთა რიცხვი და თვითეული მათგანის შემადგენლობა უნდა იქნეს გამორკვეული ამ პირობების და მიხედვით.



უძრავ გვერდმცველების ამოცას შეადგენს: წინასწარი და გვერდმცველის ბა და დაცვა იმ პუნქტებისა, საიდანაც შესაძლოა მტრის ყოველი ცაის მოვერიება და მთავარი ძალების შეუფერხებელი წინსელის უზრუნველყოფა სამგზარო წყობაში.

მათი შემადგენლობა დაახლოებით უფრის ათასეულს და აგრეთვე სამთო არტილერიის მცირე ნაწილს.

ხშირია რომ, უძრავი გვერდმცველი წინმავალზე ადრე სტოვებს ბანაკს და მიდის აღნიშნულ პუნქტების დასაგავებლად. მათი ამ პუნქტებამდე მისასვლელად და იქ გასამაგრებლად დრო ზუსტად უნდა იქნეს გამოანგარიშებული.

უძრავი გვერდმცველებიც ძლიერ ღლის ქვეითი ჯარს და აფერებს მთავარი ჯარის სისწავეებს, რადგან ხშირად ეს უკანასკნელი იძულებული ხდება გვერდმცველს ბრძოლიდან გამოსასვლელად და უკან დასახევად.

ყველა ზემოსხენებულ მიზეზთა გამო ქვეითი ჯარის უძრავ გვერდმცველებში ხმარება რაც შეიძლება იშვიათი უნდა იყოს.

ცხენოსანი ჯარის ნაწილები, რამდენიმე ტყვიამფრთველი და ადგილობრივ მცხოვრებთაგან შედგენილი მოხალისეთა რაზმები საკმარისი იქნებიან მოძრაობაში მყოფ ჯარის ფრთხებს დასაცავად.

ნ. თ ა ხ ა დ ე

ჭ ა რ ი ლ ი ა ზ რ ი პ ი ლ ა ნ

27 მარტს აქეთ კოლომბ — ბეჭარ-ში ვიმყოფები და ჩემს ნაწილს ვწერთ ენი «ტ. ს. ფ.»-ის დარგში. ორი თვის შემდეგ, როცა ლეგიონერები საკმაოდ გაწრთვნილი იქნებიან, თორმეტ «ტ. ს. ფ.»-ის სადარაჯოს რაიონარებ; ამ თორმეტთა შორის ოთხი მოძრავი სადარაჯო მექნება.

ჩემი ნაწილი შეადგინეს «ტერიტუარ დე კუფირ ალუერო — მარკენ» -ის დაარსების გამო.

ეს კუთხე, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სამხედრო ოლქს, რომელშიაც შედიან ალეირისა და მარკოს საზღვრების გადაღმა-გადმოღმა მდებარე ტერიტორიის ნაწილები და რომლის დაარსება გამოწვეული იყო აფრიკის ამ მხარეში სარდლობის გაერთიანებით.

წინად, ვიდრე ამ ოლქს დაარსებდენ, ალექსირისა და მაროკოს სა-
მხედრო ძალების უფროსები მოქმედებდენ თავიანთ ვიწრო ფარგლებში
და არ იცოდენ, ან გვიან აგებინებდენ ერთმანეთს «დისიდანტ»-ების მო-
ძრაობას ერთი-მეორის საზღვრების მახლობლად.

ამგვარი ორგანიზაციის გამო მაროკოდან განდევნილი მეამბოსე
არაბები ადვილად გადადიოდენ ალექსის საზღვარზე და მოულოდნელად
ეცემოდენ სადარაჯოებს, ან ყაჩალობდენ.

როდესაც 1929 წ. 14 აქტომბერს დჯიპანის მახლობლად (კო-
ლომბდ—ბეჭარ-იდან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოვებით 100 კილ-ტრია) «დისიდანტ»-ი არაბები ჩაუსაფრდენ და 50 ლეგიონერი ამოსწყვიტეს, მა-
შინ უმაღლესი მართველობა დარწმუნდა, რომ არსებული წესი საკმაო
არ იყო აფრიკის ამ კუთხის მშვიდობიანობის უზრუნველსყოფად და
გადასწყვიტეს ალექსისა და მაროკოს საზღვრების აქეთ-იქითა მდებარე
ტერიტორიის ნაწილებისაგან ერთი ოლქის დაარსება. ამ ოლქის უფროსს
აბარია თპერიციების წარმოება და წესრიგის დამყარება. — ასე დაარ-
სდა «ტერიტურა დე კუფრი ალექსი—მაროკენ»-ის ოლქი.

ჩემი სადგომი ბინა-ადგილი იქნება «კოლომბ-ბეჭარ»-ი: — პატა-
რა არაბ-ურიული სოფელი, მაგრამ შედარებით დიდი სამხედრო ცენტრი
საპარას საზღვარზე.; კვირაში სამჯერ ერთი «ბებერი» მატარებელი კო-
ლომბ-ბეჭარს უერთებს ორან-ს 48 საათის განმავლობაში.

ბუნება უდაბნურია: ტიტველი კლდისა და მთების ხაზი; მთის
ძირში დამშრალი ხევის დაკლაკნილი კვალი; ხევის აქეთ-იქითა ნაპირე-
ბი გაჭედილია ფინიკის ხეებით; ხევში აქა იქ წყალი გამოეონავს და გუბ-
დება ჭასაებრ ჩაღრმავებულ ადგილებში.

ხევის გადაღმა — პატარა არაბული სოფელი: ერთი-ერთმანეთზე
მიკრული მიწის, კუბიკური ნატრისფერი სახლები; ვიწრო ქუჩებში მო-
ძრაობა და ურიამული; აქლემები, სახედრები, ძალლები, კატები, არაბე-
ბი, არაბი დედაგაცები, ნეგრესები, ნაცენრად შიშველი და ჭუჭყიანი შავ-
კანიანი გოგო-ბიჭები, საძაგლად ჭუჭყიანი და აჭრელებულ კაბებში ჩა-
ტოლი ურიის სქელფეხა დედაგაცები და თხა-წვერა ურიები ეშმაკურ,
მაგრამ მშიშარა თვლებით, ერთმანეთს გზას უღობავენ და ერთი-მეორეს
ეჯახებიან. ხევის გამოღმა სამხედრო ბანაკი: —

მხეტე გამხმ: რ მიწის აგურებით აშენებული და თოვლისფერად
შეღებიო ყაზარმები,; კედელ შემორტყმული მოედნები და შიგნით, გა-
მჭკრივებული კონიკური კარვები; სანუავე და საკვების საწყობები; ყო-
ველთვის საითკენლაც გაჩქარებული დანჯლრეული კამიონები და კამიო-
ნეტები ადენენ მტვერს.

აქა-იქ, დალონებული და ყურებ-ჩამოყრილი ჯორები ზანტად ცია-ჩაგჩაგებენ სამხეორო ორთვალა ურემს.

ზოგან, გომურიდან გარედ გამოვარდნილ ჯორს სამუდამოდ თავისუფალი ჰელინია თავი და სიხარულით რაც ძალი და ღონე აქვს დარბის წინ-და-უკმო და ტლინკებს ესვრის ჯარისკაცებს, რომლებიც მას დასაჭრად დასდევენ.

ზანდახან პაერში გაისმის ელ ბულნიბიდან ბულნიბში მომავალი პაეროპლანების გუგუნი.

აქ, ყოველი რასის და ყოველ იარაღთა დარგის ჯარისკაცებია; როგორც იტყვიან — «დომხალი»

ყველაფერ ამას სხვა იერს პფენენ პაეროვანი ქალები — ოფიცერთა მეულლენი; ოხელი სამოსელის მღელვარებაში იღანდება სიშიშვლე, შიშველა ფეხები სანდლებში, საბურთაო ჩოგანი იღლიაში, — ესენი არიან უდაბნოს ფერიები; უკან მისდევენ მათი გადიები-ნეგრესები, რომელნიც საბავშო ურემში მიაგორებენ პატარა აუგუსტ-ს ან მარი ლუის-ს.

სამხედრო ბანაკის მეზობლად პატარა მოსახლეობაა, 200 ან 300 «ენტერდიტ დე სეუურ»-ებისაგან და თავ-გასულ გაჭარ ურიებისაგან შემდგარი მცხოვრებლებით და სამიოდე ბისტროთი.

კუბიკურ სახლებში დაბანაკებულა ბუჩებისა და ტარაკანების დივიჩიები; ყველაფერი ეს «სირკოს» დღეს სქელ მტკერში ჩაყურული ამთავრებს «კოლომბ-ბეშარ»-ის სურათს.

დილით ტანისამოსის ჩატანის დროს შეიძლება კაცმა თავის ჩექ-მაში ან ჯიბეებში უცაბედათ მორიელი გაჭყლიტოს.

ასეთი თავგადასავალი ერთ ჩექს ლეგიონერს მოუკიდა: —

ხელი ჩაიყო ჯიბეში სათუთუნეს ამოსალებად და უეცრად იგრძნო რომ ხელზე რაღაცამ უჩხვლიტა და დასწვა; გამწარებულმა ლეგიონერმა სწრაფად გადმოაბრუნა ჯიბე და სათუთუნე კოლოფს თან მორიელი გადმოყვა.

ნაგბენი საშიში არ აღმოჩნდა, მაგრამ ჩემმა ლეგიონერმა კარგი შიში ჭამა.

ასეთი არა სასიამოვნო შემთხვევა ხშირი იყო, მაგრამ ხანდახან დროს გასატარებლად მაინც მოხდება ხოლმე.

ასეთი მოვლენების თავიდან ასაშორებლად საჭირო არის დილ-დილობით ვიდრე ჩაიცვამდე, ტანისამოსი და ფეხსაცმელები ბეჯითად დაბერტყო და გადააბრუნ-გადმოაბრუნო.

თუმცა გაზაფხული მიწურულშია, მაგრამ აქ დღისით ძალიან არ ცხელა, ღამე გრილა და რიკრაქზე საგრძნობლად ცივა.

16 აპრილს ტაგპიტში ვიყავი (დაახლოებით 80—90 კილომეტრზე კოლომბ-ბეჭარის სამხრეთით).

ტაგიტ პატარა არაბული სოფელია და სამხედრო პისტი; გაშენებულია პატარა მაღლობზე ამომშრალ ხევის პირას.

ბუნება ლამაზია სანახავად, მაგრამ მე აქ დაბინავებას არ ვისურებდი; სოფლის ერთ მხარეზე შიშელი გორებია და მეორე მხარეზე «დუნ»-ები კი არა, არამედ ნამდვილი ყვითელი შლამის გორები, რამოდენიმე ასი კილომეტრის სივრცეზე. აქ უკვე საპარას სუნი სდგას.

ძალიან ლამაზი არის ამ ყვითელი შლამის გორაკების ყურება, როდესაც ნელი ქარი ჰქონის — მსუბუქი ტალებით ნიავი შლამს ქვევით აწვავებს და გეგონებათ გორების წევროები მოძრაობენ.

სოფლის დაბლა, ხევის ნაპირზე, როგორც ბოტანიკურ ბალში ერთმანეთში არეულია: —

ფინიკის, ნარინჯის, ფორთონელის, ლელვის, ატმის, ბროშეულის, ვაზის და უნაბის ხეები.

ყველა ეს მცენარენი ძალიან პატარა ადგილს იჭერენ, დაახლოებით 500 მეტრის სიგრძეზე და 50 ან 60 მეტრის სიგანეზე.

ტაგიტ-ში მოგზაურობის დროს ენახე ის ადგილი, სადაც 1928 წლის დამლევს არაბები თავს დაესხნ და მოპლეს ავტომობილით მიმავალი გენერალი კლავერი და მისი სამი თუ ორი ოფიცერი.

გორგო

კოლომბ-ბეჭარ.

1930 წ.

ა რ ტ ი ლ ე რ ი ა

მისი დახასიათება და გამოყენებ
თანამედროვე ბრძოლაში

IV

ა რ ტ ი ლ ე რ ი ა ლ ა შ ქ რ ო ბ ა შ ი

ეხლა, როდესაც უკვე საკმარისად განვიხილეთ საერთოდ არტი-
ლერია, შევუდგებით მისი მოქმედების დახასიათებას და მის გამოყენე-
ნებას ბრძოლაში. დავიწყებთ სულ უბრალო მომზადებითი ხანიდან და
თანდათანობით განვიხილავთ არტილერიის დანიშნულებას ყოველგვარ
ბრძოლის ცალკე ფორმაში და მისი გამოყენების წესს.

არასოდეს ბრძოლა არ იწყება ერთბაშად და მოულოდნელად;
მას მუდამ სჭირდება მომზადება, და მაშასადამე, ბრძოლის დაწყების
წინ არსებობს ისეთი ხანა, რომელსაც მომზადებითი ხანას ვუწიოდებთ.

მშვიდობიან ღროს ჯარის ყოველი ერთეული ბინადრობს თავის
მუდმივ სადგომ ადგილას, სადაც იწროვნება და სწავლობს ბრძოლის წა-
რმოების ხერხებს. თვით ბრძოლა გამოიხატება მოპირდაპირეთა შეჯა-
ხებაში. მაშ რომ ბრძოლა დაიწყოს, ან ჩენ უნდა გავეშუროთ მოპირ-
დაპირისაკენ, ან კიდევ მოპირდაპირ ჩენენსკენ. ყოველ შემთხვევაში,
როდესაც ომი იწყება, პირველი შეჯახებანი, ბრძოლანი სწარმოებენ სა-
ხელმწიფოს საზღვრებთან და ჩენულებრივ კი ამ საზღვრებთან, სადარა-
ჯო ნაწილებს გარდა, სხვა არავინ სდგას; და ამიტომ ომის პირველ და-
წყებით ხანაში, საზღვართან ახლო, ჯარის ერთეულების კონცეტრაცია
იწყება, ესე იგი, ნაწილები, რომელნიც მთელ მხარეში გაფანტული არიან,
მიისწრაფიან იმ საზღვრებისაკენ, რომლის გადალახვას ვაპირებთ ჩენ,
ან კიდევ, მოსალოდნელია მოპირდაპირ გამომლახავს მას.

გაშასადმე: ეს პირველ დაწყებითი, მსამაშადებელი ხანა ბრძო-
ლის დაწყებამდე იქნება: საზღვრო ადგილას ჯარების დაგროვება, და რომ
ერთ ადგილას ჯარები დაგროვილ იქნან, ამიტომ ეს ერთეულები უნდა
გადადიოდენ ერთი ადგილიდან მეორეზე, რაც გამოიხატება მოძრაობაში

ე. ი. სვლაში, რომელსაც ვუწოდებთ ლაშქრობას. შორ მანძილებზე ჯარის ნაწილების გადასვლა-გადმოსვლა სწარმოებს რკინისგზით, მაგრამ ამ საშვალებით გადაგვიავს მხოლოდ განსაზღვრულ პუნკტამდე, და შეძლებ კიდევ ყოველ ადგილას იგი არ მოიპოვება, ასე რომ, ჯარის ნაწილებს მუდამ უხდებათ საკუთარი საშვალებით სვლის წარმოება; ამიტომ როგორც ერთი რამ აუცილებელი, ეს სვლა-ლაშქრობა არის ფრიად დამახასიათებელი და შევუდგებით მის დახასიათებას და მისი სათანადო წარმოების წესების აღწერას, ყოველგვარ გარემოებაზი და პირობებში.

ლაშქრობის საერთო დებულებანი

ცნობილია, რომ შედეგი მრავალ განზრახვათა ოში, ხშირადაა დამოკიდებული ლაშქრობის წესიერად და სათანადო შესრულებისაგან.

ლაშქრობის დებულებანი გვასწავლიან წესებს, რომელიც გვიადვილებენ მის შესრულებას და ამავე დროს გვითითებენ თუ რა პირობებში, სხვა და სხვა გარემოებათა მიხედვით, უნდა იყვეს წარმოებული ლაშქრობა ჯარისკაცთა და ცხენების დაუტანჯველად.

წესი ლაშქრობისა დამოკიდებულია უმთავრესად საერთო მდგომარეობისაგან, და უპირველესად მოპირდაპირის ჩვენებან დაშორებისაგან. შემდეგ ეს დამოკიდებულია თვით მხარეს ბუნებისაგან, გზათა ქსელის ვითარებისაგან, ლაშქრობის წინ საბინადო ადგილებზე ჯარების დალაგებისგან და შემდეგ, ჯარების ფიზიკური მდგომარეობისაგან, და ბოლოს მანძილისაგან, რომელიც გავლილი უნდა იქნეს, წლის დროსაგან და აგრეთვე ჰავის და ამინდის პირობებისაგან.

ლაშქრობაში მოპირდაპირის მახლობლად, გადამწყვეტი არიან საოცერციო და ტეხნიკური მოთხოვნილებანი, ვინაიდან აუცილებლად უნდა მიყვანილ იქმნას ჯარის ნაწილები საჭირო ადგილას დანიშნულ დროზე და ისეთ მდგომარეობაში, რომ შეეძლოს ბრძოლის წარმოება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სათანადო დაშორებული ვართ მოპირდაპირისგან და მისი მოქმედება შეუძლებელი ხდება, უნდა ვეცადოთ უპირველესად გავუფრთხილდეთ ჯარისკაცების და ცხოველთა ჯაფას, — და აგრეთვე იარაღს.

ამით განვარჩევთ ორ ლაშქრობას: — ერთი უბრალო მგზავრული ლაშქრობა, მეორე — დაცული საბრძოლო ლაშქრობა (მოპირდაპირის სიახლოესი).

ჯარი და მისი საბრძოლო საბარგო, რომელიც ჩვეულებრივ მისდევს თან თავის ნაწილებს, არდგენ ჯართა კოლონას (სვეტს).

საბარგონი, ომელნიც არ არიან საჭირო პირველი ხაზის საბარ-
გოთა ნაწილში, და ყოველგვარი სხვა და სხვა სასამსახურო ნაწილები არ-
დგენენ საბარგო კოლონას და ჩვეულებრივ მგზავრობენ ჯართა კოლო-
ნისაგან ცალკე, საერთო უფროსობით, ან კიდევ სრულებით დამოუკი-
დებლად.

რათა სათანადო სიმაღლეზე იდგეს ლაშქრობის შესიერება, უნდა
ვწრუნვდეთ მუდამ იმაზე, რომ თვით ჯარისკაცი ხალისით და კარგი
განწყობილობით ეტანებოდენ ამ საქმეს, კარგად ვეპყრობოდეთ და არ
ვქანცავდეთ ცხენებს, ვიცავდეთ დისციპლინას, თვალს ვადევნებდეთ ჯა-
რისკაცების მიერ ფეხებისა, ტანსაცმელისა, მოვაზმულობისა და იარა-
ლის მოვლას, აგრეთვე ცხენების შეკაზმულობას და დაჭედვას, ვიცავდეთ
ყოველგვარ პიგიენას, და ვზურნავდეთ ჯარისკაცთა და ცხოველთა რიგი-
ან კვებაზე.

მუდმივი თვალის დევნა ყოველ ქვეითისა, ცხენოსანისა და ცხე-
ნისა ლაშქრობის დროს, სათანადო ეამს ჯაფის შემმსუბურებელი საშვა-
ლებების მინიჭება ხალხისა და ცხენებისათვის, ყოველგვარ საჭირო და-
ხმარებების აღმოჩენა დასვენებისა და დგომის დროს, არის მოვალეობა
ყოველი უფროსისა. მხოლოდ ამ რიგად გაგებულ ზრუნვას შეუძლია დი-
დი სარებელი მოიტანოს მძიმე პირობებში ლაშქრობისას და შექმნას
ის მუდამ ადვილად ასატანი.

ყოველმა უფროსმა უნდა იცოდეს თუ რა ზომის გაწევა შეუძლია
მის ნაწილს, რასაც მუდამ უნდა ატყობინებდეს თავის შემდეგ უშუალო
უფროსს; აგრეთვე ყოველი უფროსი მოვალეა მოახსენოს თავის შემდეგ
უზროსს ყოველ მომხდარ შემთხვევაზე ლაშქრობაში და ყოველ ან კერ-
ძო გარემოებაზე, რომელმაც მესაძლებელია იქონიოს რაიმე გავლენა ნა-
წილის ფიზიკურ ან მორალურ მდგომარეობაზე.

ზედმეტი დალლილობის ასაცდენად უნდა ვსცილობდეთ, რომ
ყოველგვარი სამსახური, როგორც ლაშქრობის, ისე დასვენების დროს,
რიგრიგობით შესრულებული იქნეს ერთეულის ყოველი ნაწილის მიერ.
აგრეთვე უნდა ვცვლიდეთ ყოველ-დღე ნაწილის აღგილს სამგზავრო კო-
ლონაში ისე, რომ ყოველ-დღე სხვა ერთეული და ერთეულის ნაწილი
იყვეს კოლონის სათავეში. მგზავრობის განსაკუთრებულ ძნელ პირობებში
ამ ცვლილებებს კიდევ უფრო ხშირად უნდა ვაწარმოებდეთ.

ლაშქრობისას არტილერია მოძრაობს, საზოგადოთ, ჩართული
ქეთით ან ცხენოსანი ჯარის კოლონაში, ან კიდევ დამოუკიდებლად. სა-
მგზავრო ლაშქრობისას უკეთესია, თუ ეს შესაძლებელი იქნება, არტი-
ლერია ცალკე მგზავრობდეს.

დიდი ერთეულების მგზავრობა, მეტადრე ერთ კოლონაში, არის უფრო მეტად დამქანცველი, ვინემ ცალკე დამოუკიდებელად მგზავრობა და ამას გარდა, მოითხოვს კიდევ განსაკუთრებულ წესიერ მომზადებას მისი ხელმძღვანელის მიერ, ამიტომ როდესაც კი ეს შესაძლებელია, უნდა ესცდილობდეთ გამოყენებულ იქმნას სუვერენი ასებული გზები, რათა ერთეულები მოგზაურებდენ პატარ-პატარა კოლონებში, რომელნიც შემდგარი იქნებიან ნაწილებისაგან, რომელთაც აქვთ ერთნაირი სვლის სიჩქარე. ამ რიგად, თვით მოძრაობაც აჩქარებული იქნება და შემცირდება ჯარისკაცთა და ცხენების დალოილობაც.

საბრძოლო ლაშქრობისას გადამწყვეტია კოლონის შედგენაში პირობა ბრძოლის წარმოების ან მიღების შესაძლებლობა და მუდმივი ამისათვის მზად-ყოფნა; ამიტომ აქ ეს აუცილებლობა გვაიძულებს შედგენილ იქნას სხვა და სხვა ჯარის დარგების კოლონა ერთის მეორეში გარევით საჭიროებისამებრ. ამ შემთხვევაში ყოველი კოლონა წარმოადგენს ტაქტიკურ კრებულს; ამიტომ საბრძოლო ლაშქრობისას არტილერია მუდამ მოძრაობს ჩართული ქვეითი ან ცხენოსან ჯარის კოლონაში.

არტილერიის ნორმალური ტარება არის ნაბიჯი. საჭიროებისამებრ, შესაფერის გზებზე, საველ და ცხენოსან არტილერიაში, იმარება აგრეთვე ჩორთი. ჩორთით სვლა ამცირებს ცხენების შებმულობაში ყოფნის დროს და აგრეთვე ჯარისკაცთა დალილობას, ვინაიდან ამ რიგად გაცილებით ადრე აღწევენ სადგომ ადგილს, სვლის სიჩქარე დამოკიდებულია მიღამოს და გზების მდგომარეობისაგან, ამინდისაგან, გასავლელ მანძილის სიდიდისაგან და ნაწილის ფიზიკურ შემძლებლობისაგან.

არტილერიის დღიურ გადასავალი და სვლის სიჩქარის შესახებ უკვე გვაქვს დაბეჭდილი ჩვენი წერილების მეორე თავში და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

არტილერიისათვის, რომელიც მოძრაობს მეხანიკურ საშვალებებით (მოტორით), სვლის სიჩქარე საშუალოდ არის საათში ათი-თორმეტი კილომეტრი, უდიდესი სიჩქარე 15 კლმ. საშუალო დღიური გზასავალი 60 კლმ., უდიდესი კი — 100 კლმ.

აუცილებელი საჭიროების მიხედვით, დღიური გზასავალის სიდიდე შესაძლებელია გადიდებულ იქნეს, მაგრამ მხედველობაში მაინც უნდა მივიღოთ ცხენების, მიღამოს და ამინდის მდგომარეობა. არტილერიის დღიური გზასავალი შეიძლება გადიდებულ იქნეს 60 კლმდე, ცხენოსან არტილერიისა კი 100 კლმდე, მაგრამ უნდა ითვლებოდეს გამონაკლისად და არ იყოს ხშირად გამოყენებული.

სვლის აჩქარება შესაძლებელია მხოლოდ ჩორთით, სვლის დრო-ის გაგრძელებით და არა თვით ნაბიჯის გაგანივრებით. არტილერია, რომელიც კოლონის შემადგენლობაში შედის, რომელიც შემდგარია სხვა და სხვა ჯარის დარგებისაგან, თავის სვლას უფარდებს კოლონის სვლის სიჩქარეს. ქვეითი ჯარის კოლონის სვლის საშუალო სიჩქარეა ოთხ კლმ. ერთი საათის განმავლობაში, ცხენოსანისა კი ექვსი კლმ.

აյ არ შევუდგებით ლაშქრობის წარმოების, დგომა-დასვენებისა და ბინადრობის დაწვრილებით აღწერას. ეს წარმოადგენს განსავუთრებული წესდების საგანს. ჩვენ მიზნად დასახული გვაქვს მხოლოდ საერთო დებულებათა აღნიშვნა, რაც უკვე საკმარისად ვქვენით, ამას მხოლოდ დავუმარებთ რამდენიმე სიტყვას უფროსების ადგილთა შესახებ კოლონაში და სვლის ხელმძღვანელობის შესახებ.

კოლონის ან მისი შემადგენელი ნაწილების უფროსები იმყოფებინა ნაწილებთან, უმთავრესად მის სათავეში, შეუძლიათ აგრეთვე შესცვალონ თავიანთი სამყოფი ადგილი გარემოების - და მოთხოვნილების მიხედვით. თუ არტილერია მოძრაობს სხვა ჯარის დარგის კოლონის შემადგენლობაში, არტილერიის მთავარი უფროსი, ჩვეულებისამებრ, აუცილებელ ხალხის თანხლებით, იმყოფება მუდამ კოლონის უფროსის გჩერდით; ამ შემთხვევაში თავისი ერთეულის უფროსობას აბარებს ამ ერთეულის თავის მომდევარ უფროსს.

ლაშქრობის კარგად შესრულება დამოკიდებულია კოლონის ყოველი ნაწილის თანაბარ და სწორ სვლისაგან. ამისათვის ყოველ კოლონას და მის ნაწილს სათავეში უნდა მიუძღვდეს ოფიცერი, რომლის მოვალეობა ინება სვლის ტემპოს მოწესრიგება; კოლონის ან მისი ნაწილების მეთაურნი უნდა ერთდებოდენ სვლის უცარ აჩქარებას ან შენელებას, მეტადრე უსწორ-მასწორო და ვიწრო ადგილებზე. უცარი შეჯახებანი, გაჩერება, და ამოძრავება იწვევს ცხენების დაშავებას და დაქანცვას, და აფუჭებს თვით იარაღსაც, ამიტომ მთელი ჩვენი ცდა უნდა იყოს მიმართული იქითვენ, რომ სათანადო შევუფარდოთ ს ლის სიჩქარე და თანაბრობა მდებარეობას და გზის ხასიათს, თორემ უამისოდ ფრიად შევამცირებთ ლაშქრობის შემძლებლობას და გამოვიწვევთ ნაადრევ დაღლილობას, რაც არავითარ შემთხვევაში არ იქნება ჩვენთვის სასარგებლო.

შ ც ხ ო ე თ ი ს

ს ა მ ხ ე დ რ ი ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ ლ ი დ ა ნ

გენერალი კარლ ფონ კლაუზევიც
რა არის ომი?

6. სინამდვილის მიერ გამოწვეული
მოდიფიკაცია

თვით მცნებათა აბსტრაქტულ დარგში გონება ვერასოდეს ვერ ჰქოებს სიმშევიდეს, სანამ საბოლოო შედეგებამდე არ მიაღწევს, ვინაიდან მას აქვს აქ საქმე უკიდურეს საკითხებთან, ძალთა შეჯახებასთან, თავის-ანაბარა დატოვებულთა და დამკიდებულთა მხოლოდ საკუთარ შინაგან კანონებისაგან. მაშ თუ კი მოვისურვებთ მხოლოდ ომის თვით მცნებისაგან გამოვვება აბსოლუტური გამოსავალი პუნქტი ჩვენ მიერ დასახულ მიზნისათვის და საშვალებებისათვის, რომელიც უნდა გამოგვეყენდა — მაშინ მათი მუდმივი ერთმანეთზე გავლენიაობის მიზნით გადავიჭრებოდით უკიდურესობაში, რომელიც იქნებოდა მხოლოდ ჩვენი ფართაზის თამაში, გამოწვეული ძნელად შესამჩნევ ლოდიკურ სიფაქიზის ძაფთა კონის მიერ. თუ კი ვინმე მოისურვებდა ურყევ დებულებათა სრულ მიმდევრობით ერთი კალმის მოსმით შემოევლო ყოველგვარ სიძნელეთა ირგვლივ, და გადაჭრით დაიჩემებდა უკიდურესობისათვის მუდმივ მზადებას და შეფარდებისათვის მუდამ უდიდეს შეძლების ძალის აუცილებლობას, მაშინ საკითხის ამგვარი გადაჭრა შექმნიდა ცხოვრებაში გამოუყენებელ კაბინეტურ დებულებებს.

თუნდაც რომ ეს უკიდურესი შეძლების გამოყენება ყოფილიყო ურყევი დებულება, ადვილად გამომდინარე და გასაგები, მაინც, რომ ვსთქვათ სიმართლე, ადამიანის გონება დიდის სიძნელით მიიღებდა ამგვარ ლოდიკურ ნაწურავს. არა ერთხელ ეს მიგვიყვანდა ზედმეტ ჯაფამდე, რომელიც გვაიძულებდა ამის გადასაწონად მოგვეხმარა ხელოვნების სხვა დებულებანი მართვა-გამგეობაში; მაშინ ამისათვის ნებისყოფის ძალის აუცილებელი დაჭიმვა არ იქნებოდა შეწონილი განზრახული მიზნისათვის და ვერ გამოისახებოდა საქციელით; ადამიანის ნებისყოფა არასოდეს არა ჰკრეფს ძალებს ლოდიკურ სიწმინდეში.

სულ სხვანაირად კი გამოიყურება საკითხი, როდესაც განყენებული მცნებიდან გადავალთ სინამდვილეზე. იქ სუყველაფერი ემორჩილებოდა ოპტიმიზს, რომელიც საზღვრავდა, რომ ორივე მებრძოლი მხარე არამც თუ მიისწრავის სრულყოფისაკენ, არამედ აღწევენ კიდეც მას. სინამდვილეში ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშან, როდესაც —

1. ომი იქნებოდა განყენებული აკტი, რომელიც წარმოიშვება ხოლმე უკირად, სახელმწიფოს წინანდელ ცხოვრებასთან დაუკავშირებლად;

2. თუ ომი დამყარებული იქნებოდა ერთ, ან მთელ რიგ ერთ-დროულ გადაწყვეტილებებზე;

3. როდესაც ომს თავისთავად შეეძლებოდა საკითხის სავსებით გადაჭრა, და როდესაც კიდევ მის მსვლელობის დროს, თუ მასზე გავლენას არ მოახდენდა ომის დამთავრებისას შემდეგი დროისათვის განზრახული პოლიტიკური მდგომარეობა.

7. ომი არასოდეს არ არის განყენებული აქტი

რაც შეეხება ზემოდ აღნიშნულ პირველ პუნქტს, ორივე მოწინააღმდეგოთანი არ არიან ერთმანეთისაგან განყენებული პიროვნებანი, არც გარეგნულად, არც ნებისყოფის მიხედვით, რომელიც არის ბრძოლის შინაგანი მიზეზი. ნებისყოფა — ეს არის უცნობი, ვინაიდან იქიდან, თუ რაც არის დღეს, გამოსჩანს ის, რაც იქნება ხვალ. ომი არ წარმოიშვება უმიზუებოდა არაარაობისაგან — მისი განვითარება არ არის ერთი შუალედის საქმე: მაშ, მოპირდაპირეთ შეძლება აქვთ ერთმანეთის შეფასებისა იმის-და მიხედვით, თუ რას წარმოადგენენ, რასა სხადიან, და არა ისედან, სიზუსტით რო ვსთქვათ, თუ როგორი უნდა იყვნენ და რა უნდა იმოქმედონ. ადამიანი თავისი თავანიზაციის ნაკლულოვნობის გამო. ვერასოდეს ვერ აღწევს სავსებით სრულყოფიბას და ამიტომ ორივე მხარის მიუღწევლობანი სინამდვილეში შემზღვდელ მიზეზებს წარმოადგენენ.

8. ომი არ წარმოადგენს ერთ ხანმოკლე დარტყმას

მეორე პუნქტს მივყევართ შემდევ მსჯელობამდე: —

რომ ომის დროს არსებულიყო მხოლოდ ერთი ან მთელი რიგი ერთდროული გადამჭრელი მოქმედებანი, მაშინ ყოველი მომზადება ამისათვის გაექანებოდა, რასაკვირველია, უკიდურესობისაკენ. გამოსწორება ყოველგვარ დაუდევრობისა ამ შემთხვევაში სრულებით შეუძლებელი გახდებოდა, და სინამდვილე შეიკრებოდა როგორც შემამოწმებელი ჩვენი მსჯელობისა, რომელიც მოპირდაპირის მომზადების შესახებ —

ვარაუდ ცნობებზე იყო დამყარებული — სხვა ყოველივე ისევ განყენებული ბუღ მცნებებს დამყარებოდა. მაგრამ როდესაც სინამდებულეში გადამჭრელია მთელი რიგი ერთმანეთის მომდევნო აქტები, მაშინ, თავისთავად ცხადია, რომ ყოველი წინამორბედი აქტი თავისი მოვლენებით შეიძლება შეიქმნას შემდეგის შემამოწმებლად, და ამრიგად სინამდვილე გვაშორებს განყენებულ მცნებებს და აქახრაკებს მისწრაფებას უკიდურესობისაკენ.

მაშ დავინახეთ, რომ ჯერ კიდევ ომისათვის მზადების დროს, სინამდვილე შემოიჭრება თვით მცნების ადგილას, და არსებითი ზომა (საჭირო ძალისა) წინ იწევს უკიდურეს განზრახვათა მაგივრად. უკვე ამ მიზეზის გამო ერთმანეთზე გვალენიანობა ორივე მოპირდაპირესი, არ მისცემს მათ უკიდურესი ღონისძიების მოხმარების ნებას, და მაშ არ დაუშვებს ყველა ძალების ერთბაშად გამოყენებამდე.

მაგრამ თვით ბუნება ამ ძალებისა და პირობები მათი შეფარდებისა, ნებას არ მოგვცემენ გამოვიყენოთ ისანი ერთიანად და ერთდროულად. ეს ძალები არიან: თვით შეიარაღებული ძალა, მხარე მიწაშეყლით და მოსახლეობით და დაბოლოს მოკავშირენი.

მხარე თავისი მიწაშეყლითა და მოსახლეობით არამც თუ წარმოადგენს შეიარაღებული ძალის ნამდვილ წყაროს, არამედ თვითონვე თავისთავად წარმოადგენს ომში მოქმედ ძალთა განუყრელ ნაწილს, და სახელდობრ იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ომის თეატრს და რომელიც მასზე დიდ გავლენას ახდენს.

თუ კი რომელიმე შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ბრძოლაში მთელ მოძრავ ძალთა ერთდროულად შეყვანა, თვით ქვეყნით, ესეიგი მისი ყველა ციხე-სიმაგრეებით, მთებით, მდინარეებით, მოსახლეობით და სხვა მრავალით — ეს შეუძლებელი ხდება, თუ კი ეს მხარე არ ექნება ისე პატარა, რომელსაც ომი შესაძლებელია მოედოს მთლიანად მის პირველივე წუთებში. თანამოქმედება მოკავშირეთა არ არის დამოკიდებული მარტო მებრძოლთა სურვილისაგან, და თვით ხასიათი სახელმწიფოთა შორის დამკიდებულებების, ახდენს იმას, რომ თანამოქმედება — ეს უმეტეს შემთხვევაში იწყება ცოტა მოგვიანებით ან კიდევ ძლიერდება დაკარგულ სწორშონობის ალსადგენად.

შემდეგში იქნება ფართო ბაასი იმის შესახებ, რომ მოგერიებითი ძალების რაოდენობა, რომელთა ამოძრავება შეუძლებელია ერთბაშად, წარმოადგენს უმეტეს შემთხვევაში, მთლიან უდიდეს ნაწილს, ვინემ ეს ჩეენ ერთი თვალის გაკვრით მოგვეჩევენებოდა, და ამიტომ ძალთა სწორშონობის ალდგენა შესაძლებელი ხდება იქაც, სადაც პირველი

გადამჭრელი მოქმედება წარმოებული იქნა ფრიად ენერგიულად და სამუშავებრივად დაც სწონსწორობა შესამჩნევად იქნა დარღვეული. აქ საკმარისია ვახსენოთ, რომ სრული შეერთება ძალებისა ეწინააღმდეგება ომის ბუნებას. არ არის ეს, რასაკვირველია, საბუთი ჯაფის ზომის შესახლუდავად პირველ გადამჭრელ მოქმედებისათვის, ვინაიდან ყოველი მარტი მუდამაა ზარალი და რაღგანაც პირველი გადამჭრელი მოქმედება, თუნდაც რომ არ რჩებოდეს განცალკევებული, მაიც თავისი სიდიდის მიხედვით მუდამ იქონიებს გავლენას შემდეგზე. მხოლოდ შესაძლებლობა მომავალ გადამჭრელ მოქმედებათა ახდენს იმას, რომ ადამიანთა გონება; რომელსაც მუდამ კურუანტელი უვლის დიდი ჯაფის წინ, სარგებლობს შემთხვევით, რომ პირველ გადამჭრელ მოქმედების დროს არ დააგროვოს და არ გამოსწუროს ძალები ისე, როგორც ვალდებულია. რასაც ერთი მოპირდაპირეთაგანი არ მიაუცეს სათანადო ყურადღებას სისუსტის გამო, იქნება მეორესათვის ზომიერების ობიექტიური მიზეზი. ამგვარ ერთმანეთზე გაფლენიანობის გამო, პირვანდელი მისწრაფება ძალთა საბოლოო გამოწურვამდე შემცირდება ისევ გარკვეულ საზღვრამდე.

9. ომის შედეგი არასოდეს არ არის ურყევი

თვით მოელი ომის საბოლოო გადაშრაც არ შეგვიძლია ყოველთვის ჩავთვალოთ ურყევად, ვინაიდგან ძლეული სახელმწიფო ხედავს დამარცხებაში მხოლოდ გარდამავალ უბედურებას, რომლის თავიდან მოშორებას შესძლებს შემდეგი ხანის პოლიტიკური გარემოებანი. ამიტომ ცხადია, რა ხარისხამდე უნდა ზღუდვავდეს ეს შეხედულება ძალების დაჭიმვის სიძლიერეს და ჯაფის უეცარ მედგრობას.

10. სინამდვილის ეგებისობანი უკიდირესობისა და მცნებათა ურყევლობის ადგილს იჭერენ

ამრიგად, მოელი აქტი ომისა მოკლებულია უკიდურესობამდე ძალთა დაჭიმვის მკაცრ კანონს. ესლა განთავისუფლებულნი უკვე ამ საშიშროებისაგან და მისდამი მისწრაფების სურვილ-მოკლებულნი, ვიმსჯელებთ, თუ რა ფარგლები უნდა შემოვუხაზოთ ჩვენს ჯაფას. ამას მივახშევთ მხოლოდ ცნობების საშვალებით, რომელსაც მოგვაწვდიან სინამდვილის მოვლენანი ეგებისობის დებულებათა მიხედვით. რაღგანაც ორივე მოწინააღმდეგეთაგანი არ წარმოადეენ მხოლოდ განყენებულ მცნებას, არამედ ნამდვილ სახელმწიფოებს და მთავრობებს — აქედან სინამდვილეც მოვგაწვდის აგრეთვე საფუძველს, საიდანაც შეგვეძლება ვიქონიოთ წარმოდგენა უცნობ საგნის შესახებ, რომ გავითვალისწინოთ,

თუ რა იქნება მოსალოდნელი, და განვსაზღვროთ სიზუსტათ, თუ რა უნდა ვეძიოთ.

ყოველმა მხარემ უნდა გამოიტანოს დასკვნა მოპირდაპირის მოქმედების შესახებ, მისი ხასიათისაგან, მოწყობილობისაგან, მდგომარეობიდან და პირობებიდან ეგებისობის დებულებათა მიხედვით. და ამის მიხედვით უნდა გაარჩვიოს საკუთარი მოქმედებანი.

II. ისევ თავს იჩენს პოლიტიკური განზრახვა

აქ ჩვენს მსჯელობაში ისევ იჩენს თავს ის საკითხი, რომელიც გვერდზე გადავდეთ მეორე მუხლში: ომის პოლიტიკური განზრახვა. უდიდეს ჯაფის გამოყენების დებულება, სურვილი მოპირდაპირის დაუძლურებისა და დამარცხებისა — პფარავდენ ერთგვარად იმ განზრახვას. მაგრამ რაზომ ეს დებულება სუსტდება და სურვილი ეს შორდება თავის მიზანს, მაშინ სუუკველაზე წინ უნდა იწევდეს პოლიტიკური განზრახვა ამის, რადგანაც მთელი აწონდაწონვა, რომელიც ხდება ომის შესახებ არის ეგებისობის ანგარიში, რომელიც ემყარება ზოგიერთ გარკვეულ ერთეულებს და დამოკიდებულებებს, აქედან პოლიტიკური განზრახვა ამის, როგორც პირველყოფილი მოტივი, უნდა შეიქნეს ამ ანგარიშის შედეგის სერიოზულ მიზეზად. რამდენადაც მცირეა მსხვერპლი რომელსაც მოვითხოვთ მოპირდაპირისაგან, მით უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას უნდა მოველოდეთ მისან, და რაც ამას მოსდევს, მით შესაძლოა ნაკლები იყოს ჩენი ჯაფა. შემდეგ, რაც უფრო სუსტია ჩენი პოლიტიკური განზრახვა, მით უფრო ნაკლებ მნიშვნელობას მივაწერთ მას და მით უფრო გაგვარადვილდება ჩენ მისი უარყოფა; მაში უფრო ნაკლები იქნება ამის გამო ჩენი ჯაფა.

ამრიგად, პოლიტიკური განზრახვა, როგორც პირველყოფილი მოტივი ამისა, რომელსაც უნდა მივაღწიოთ სამხედრო მოქმედების საშვალებით. აგრეთვე თვით ამისათვის საჭირო ჯაფისა. ვინაიდან აქ საქმე გვაქვს სინამდვილესთან და არა მხოლოდ მცნებებთან, შესაძლებელია ეს მოხდეს მხოლოდ ორივე მებრძოლ სახელმწიფოთა მიმართ. ერთი და იმავე ერის ან სხვა და სხვა ერის ერთსა და იმავე პოლიტიკურ განზრახვას ცხოვრების სხვა და სხვა ეპოქაში შეუძლია გამოიწვიოს სრულდებით სხვადასხვანაირი შედეგები. პოლიტიკური განზრახვა შეგვიძლია ჩავთვალოთ, როგორც საზომი მხოლოდ მის გავლენიანობის მიხედვით იმ მასაზე, რომელიც უნდა აამოძრაოს, ამიტომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს ამ მასსის ბუნებას. ადვილი შესამჩნევია, რომ ამის გამო შედეგი შესაძლებელია იქნეს სხვა და სხვანაირი, იმის-და-მიხედვით, თუ ამ მასებში არ-

სებობს ისეთი გრძნობაში, რომელიც ასუსტებს თუ აძლიერებს სამხედრო რო მოქმედებას. ორ სახელმწიფოს შორის შესაძლებელია იმდენად დაჭიმული იყოს მდგომარეობა და დაგროვებული ერთი მეორესადმი იმდენი მტრული მიზნები, რომ რომელიდაც სრულიად უბრალო საბუთს ომისას შეუძლია მიაღწიოს მიზანს, გამომდინარეს სრულებით მის ნამდვილ ხასიათს გარეშე, და გამოიწვიოს ნამდვილი აფეთქება.

ამდენიც ჯაფის შესახებ, რომელიც გამოწვეულ უნდა იქმნას ორივე სახელმწიფოს პოლიტიკურ განზრახვის მიერ, და მიზნის შესახებ, რომელიც უნდა დაუსახოს მან სამხედრო მოქმედებებს. ეს განზრახვა ხან სრულებით ეთანაბრება მიზანს — დაპყრობა რომელიმე პროვინციისა. ხან კიდევ პოლიტიკურ განზრახვას არ შეუძლია გარკვევით განსაზღვროს სამხედრო მოქმედების მიზანი და უნდა აირჩიოს ისეთი, რომელსაც შეძლება ექნება გახდეს სწორმწონელად და დაიჭიროს მისი ადგილი ზავის შეგვრის დროს. და აქაც მაინც გათვალისწინებული უნდა იყვნენ თვისებანი მებრძოლ სახელმწიფოებისა. არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ეს სწორმწონი უნდა იყოს გაცილებით უფრო დიდი, ვინემ პოლიტიკური განზრახვა, თუ კი მის საშვალებით უნდა მივაღწიოთ ამ განზრახვას. მნიშვნელობა პოლიტიკურ განზრახვისა, როგორც საზომის, იქნება მით უფრო მეტი, მით უფრო გადამშრელი, რაც უფრო ნაკლები მლელვარება სუფექს ორივე სახელმწიფოში. არის კიდევ ისეთი შემთხვევაც, როდესაც მხოლოდ ეს განზრახვა არის სრულებით გადამშეკვეტი. რადგანაც მიზანი სამხედრო მოქმედებებისა არის პოლიტიკურ განზრახვის წონასწორი, ამიტომ ის ამ განზრახვასთან ერთად მორალურად ქრება და ეს მით უფრო გარკვევით, რამდენათაც ეს განზრახვა მას ბატონობს; ამით აისწერა ის ფაქტი, რომ სრულებით შინაგან უთანხმოებას მოკლებული დაიწყოს ომები ისეთ სხვა და სხვა ხარისხოვან მნიშვნელობისა და ძალისა, განმანადგურებელ ომიდან დაწყებული უბრალო შეიარაღებულ თვალდევნამდე. მაგრამ ამას მივიღევართ ჩვენ სხვა საკითხებისაკენ, რომელთაც, ვეცდებით, შემდე განვავითაროთ და გამოვარკვიოთ.

12. ეს მაინც არ არკვევს სამხედრო მოქმდებებში შეჩერების მიზანს

განა შესაძლებელია, რომ ორივე სახელმწიფოს სრულიად უბრალო პოლიტიკურ მოთხოვნილებათა გამო, ყველაზე უფრო სუსტ საშვალებათა მოხმარების გამო, ან სამხედრო მოქმედებისათვის ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზნის არჩევის გამო — რომ ეს მოქმედებანი შექრდენ თუნდაც ცოტა ხნით? ეს კითხვა ღრმად იჭრება საქმის შინაარსში.

ყოველი მოქმედება შესრულებისათვის მოითხოვს გარკვეულ ღროს, რომელსაც ვუწოდებთ ხანას. ეს შესაძლებელია იქნეს გრძელი ან მოკლე, იმის მიხედვით, თუ მოქმედი ხელმძღვანელობს მეტის თუ ნაკლები აჩქარებით.

ჩვენ აქ გვაინტერესებს თვით ეს აჩქარება, მეტი თუ ნაკლები; სუკველა მოქმედობს თავისებურად; ზანტი ადამიანი მოქმედობს ნელა არა იმიტომ, რომ სურს თავის საქმეს მოახმაროს მეტი დრო, არამედ იმიტომ, რომ მას ეგრე ამოქმედებს მისი ბუნება; მეტი აჩქარებით ასე თი ადამიანი თავის საქმეს შესრულებდა უარესად. მაშ ეს ღრო დამოკიდებული ყოფილა შინაგან მიზნისაგან და ეკუთვნის თვით მოქმედების ნამდვილ ხანას.

მაშ, დავუთმობთ რა ომში ყოველ მოქმედებას მისთვის საჭირო ხანას დროისას, უნდა მივიღოთ, ყოველ შემთხვევაში პირველი თვალის გადავლებისას მაინც, რომ ყოველი შეგვიანება ამ. ხანის გარეშე, ესე იგი ყოველი შექრება სამხედრო მოქმედებაში, უნდა სხანდეს არაგონიერ საქმედ. ამასთან ერთად მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აქ ვლაპარაკობთ არა წინსკლაშე ერთისა თუ მეორესი მოპირდპირეთაგან, არამედ მთელი სამხედრო მოქმედებების წინსკლაშე.

13. მხოლოდ ერთ მიზნს შეუძლია შეაჩეროს სამხედრო მოქმედებები, და ისიც გამოწვეულს, ჩვეულებრივ, ერთერთ მებრძოლ მხარეს მიერ

• რა-კი უკვე ორივე მხარე მოემზადა საბრძოლველად, ეს უნდა გამოწყეული ყოფილიყო მტრულ დებულებების მიერ; სანამ მოპირდაპირენ არიან ეგრე გამზადებულნი, ე. ი. არ ჰკრავენ ზავს, მანამ ეს დებულებანი უნდა არსებობდენ და მათი მოქმედება შესაძლებელია შექრებულ იქნას რომელიმე მოპირდაპირეთაგან მხოლოდ ერთი პირობის საშვალებით: — თუ კი მას სურს დაუცადოს უფრო სასარგებლო დროს მოქმედებისათვის. პირველ შეხედვისას მოგვეჩვენება, რომ ამგვარი შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ერთი მხარესათვის, ვინაიდან მეორე მხარესათვის ეს ამითვე ხდება სრულ საწინააღმდეგოდ. თუ კი ერთის ინტერესი ძევს მოქმედებაში, მეორე მხარესათვის უფრო სასარგებლო უნდა იყოს ცდა.

სრულ სწორწონას ძალებისას არ შეუძლია გამოიწვიოს შექრება ოპერაციისა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ის მოპირდაპირეთაგანი, რომელსაც აქვს ურყევი განზრახვა (შეტევითი), იქნებოდა უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში.

თუ კი სწორწონობას წარმოვიდგენთ ისე, რომ მხარე, რომელ-
საც აქვს ურყევი განზრახვა და ამით თკით უძლიერესი მოტივი, განა-
გებს უფრო სუსტ ძალებით, და რომ გათანასწორება ძალებისა იქნებო-
და საშუალოდ მოტივისა და ძალისა, ამ შემთხვევაში უნდა გაეაზრა,
რომ თუ კი არ არის მოსალოდნელი ამგვარ სწორწონობის მდგომარეო-
ბისა, ორივე მხარეს უნდა შეეკრა ზავი. თუ კი ასეთი ცელილება მოსა-
ლოდნელი იქნებოდა, ეს გვიკარნახებდა მხოლოდ მოქმედების სასურვე-
ლად განვითარებას მხოლოდ ერთი მხარესი და აიძულებდა მეორე მხა-
რეს დაწყო მოქმედება. ვხედავთ მაშ, სწორწონობის მცნებას არ შეუძ-
ლია გაამართლოს მოქმედების შეჩერება, მხოლოდ შეჩერება ეს მიესწო-
დება უფრო ხელსაყრელ შუთის დაციისაკენ. წარმოვიდგინოთ, მაგალი-
თად, რომ ორ სახელმწიფოდან ერთს აქვს ურყევი გადაწყვეტილება: —
სურს დაიპყროს პროვინცია მოპირდაპირესი, რომ ამით პქონდეს ამა-
ნათი ზავის შეკვრისას: ამ დაპყრობის შემდეგ მისი პოლიტიკური გან-
ზრახვა უკვე შესრულებული იქნება, საჭიროება მოქმედებისა მოისპობა
და მის მაგივრად სდგება მშვიდობიანობის ხანა. ეხლა თუ კი მოპირდა-
პირე შეურიგდება ამ გამარჯვებას, უნდა შეკრას ზავი, თუ კი არა —
ამ შემთხვევაში აქვს მას საკმარისი საბუთი მოქმედების შეგვიანებისა-
თვის.

მაგრამ აქედან გამოსჩანს, რომ ამ შუთიდან ლოლიკური მოვა-
ლეობა მოქმედებისა ეცება გამარჯვებულს, რათა ძლეულს არ მისცეს
მოსამზადებლად მოქმედებისათვის საჭირო დრო. თავისთვად ცხადია,
რომ ვდებულობთ აქ დაწვრილებით ცოდნას ურთიერთ განზრახვათა
ორივე მხარეს მიერ.

14. სამხედრო მოქმედებანი ამით შეიქნებოდენ

შეუწყვეტელი, რაიც მათ ისევ უკიდურესობამდე მიიყვანდა

რომ მართლაც არსებოდეს ასეთი განუწყვეტლობა სამხედრო
მოქმედებათა, მაშინ ის აიძულებდა ისევ ყოველივეს უკიდურესობისა-
კენ მისწრაფებაში. რო ავუხვიოთ გვერდი იმას, რომ ერთი განუწყვე-
ტელი მოქმედება გააღვივებდა გრძნობიერების ძალებს და მისცემდა
სუყველაფერს მეტხარისხოვან ჟინს და მეტ სტიქიურ ძალას — მაშინ
წარმოიშვებოდა ამ მოქმედებათა განუწყვეტლობის გამო, უფრო ნამდ-
ვილი თანდათანობითი და განუწყვეტელი ძეწვი მიხეხიანობისა. ყოვე-
ლი თვითეული მოქმედება შეიქიებოდა ამის გამო უფრო მნიშვნელო-
ვანი და სახიფათო.

მაგრამ ვიცით, რომ სამხედრო მოქმედებანი ძალიან იშვიათად ან არასოდეს არ არის ასეთი სრულებით განუწყვეტელი, და რომ მრავალ ომებში თვით მოქმედებანი იჭერენ უმცირეს ნაწილს დახარჯულ დროისა, და მოქმედებათა შეჩერებებს კი მიაქვთ უდიდესი მისი ნაწილი. თუ შეიძლება ეს მუდამ იყვნეს ანომალიად, წარმოებაში პპერაციების შეჩერება უნდა იყვნეს სავსებით დასაბუთებული და არა თავის-თავისვე მოწინააღმდეგ საქმედ. რომ ეს ეგრეა, და თუ რისთვის ხდება, დავინახავთ შემდეგ.

15. ამ რიგად თავს იჩენს დებულება დიამეტრალურ წინაუკმობისა

რადგანაც მივიღეთ, რომ ერთ-ერთი სარდალის ინტერესი არის მუდამ წინაუკმო სიდიდე მეორეს სარგებელის მიმართ, მივიღეთ მაშ დებულება სრული წინაუკმობისა. ამ საკითხს შემდეგში მივანიჭებთ სპეციალურ თავს, აქ კი განვმარტავთ შემდეგს:

დებულება დიამეტრალურ წინაუკმობისა სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ვაფარდებთ მას ერთსა და იმავე საგანს, სადაც დადგებითი სიდიდე და მისი საწინააღმდეგო — უარყოფითი სიდიდე, ის-პონან სავსებით. ბრძოლაში გამარჯვების სურვილი აქვს ორივე მხარეს; აქ წინ იწევს ნამდვილი წინაუკმობა, ვინაიდან გამარჯვება ერთი მხარესი სპონს ამისავე შესაძლებლობას მეორესათვის. მაგრამ, როდესაც საქმეში შედის ორი სხვა და სხვა საგანი, რომელთა ერთი მეორეს მიმართ დამოკიდებულება სძევს მათ გარეშე, მაშინ სრული წინაუკმობა ეხება არა თვით ამ საგნებს, არამედ ამ ორ საგანთა საერთო დამოკიდებულებას.

16. შეტევა და მოგერიება არიან სხვა და სხვა გვარი და არა თანასწორი ძალების მქონე მოვლენანი; დებულებანი სრული წინაუკმობისა შეუძლებელია შეფარდებულ იქმნან ამათთვის.

რომ არსებობდეს მხოლოდ ერთი სახე ომისა, სახელდობრ, თავ-დასხმა მოპირდაპირესი, და რომ არ არსებობდეს მოგერიება, ესე იგი რომ შეტევა განსხვავდებოდეს მოგერიებისაგან მხოლოდ ნამდვილ მოტივით, რომელიც ახასიათებს პირველს და რომელიც არ არსებობს მეორე მხარესათვის, და რომ ამასთან ერთად ბრძოლა მუდამ ყოფილიყო ერთნაირი, მაშინ ამგვარ ბრძოლაში ყოველი გამარჯვება ერთ-ერთი

მხარესი იქნებოდა არასასარგებლო მოწინააღმდეგ მხარესთვის და სრული წინაუკმობა იარებებოდა სინამდვილეში.

მაგრამ სამხედრო მოქმედება გამოისახება ორი ფორმით: შეტევით და მოგერიებით, რომელიც, რასაც შემდეგ საფუძვლიანად დავამტკიცებთ, ფრიად განსხვავდებიან ერთი მეორესგან და განაგებენ სრულებით არა თანასწორი ძალებით. წინაუკმობა მაში სძვრს არა თვით შეტევაში ან მოგერიებაში, არამედ რაშილაც, რაც არის საერთო ორივე სახისათვის — გადაჭრაში (შედეგში). თუ ერთ სარდალთაგანს სურვილი აქვს საქმის გადაჭრისა ცოტა მოგვიანებით, მაშინ მის მოპირდაპირეს უნდა სურდეს მისი აჩქარება, რასაკვირველია, ისევ იმ სახით ბრძოლისა. თუ მაგალითად «ა» დაინტერესებულია იმით, რომ იერიში მიიტანოს მოპირდაპირეზე არა დღეს, არამედ ერთი თვის შემდე, «ბ»-სათვის სასარგებლო იქნებოდა სწორედ ის, რომ მასზე იერიში მოეტანათ არა ერთი თვის შემდეგ, არამედ დღეს. ეგრე გამოიყურება წინაუკმობა უშუალო; აქედან მაიც არ გამომდინარეობს ის, რომ «ბ»-ს ინტერესში იყოს დაუყონებლივი შეტევა «ა»-ზე, ვინაიდან ეს საკითხი არის სრულებით განსხვავებული.

17. სრული წინაუკმობის დებულების მოქმედება

ხშირად არის შელახული მოგერიების უპირატესობით

შეტევაზე და ამით აიხსნება შეჩერება სამხედრო მოქმედებებში

თუ კი მოგერიების ფორმა არის, როგორ შემდეგში გამოვარგვეთ, უფრო ძლიერი, ვიდრე შეტევისა, მაშინ ისმება საკითხი, რომ სარგებელი გამომდინარე ერთ მხარესთვის შეგვიანებულ გადაჭრისაგან, გათანასწორებული იქნება სარგებელთან, რომლითაც უზრუნველყოფილია მოწინააღმდეგ მხარე მოგერიების მიერ. სადაც ეს არ ასებობს, იქ ამ სარგებელს (უპირატესობას) ვერ სძლევს თვით წინაუკმობა მოგერიებისა და შეტევისა, და ვერ იქნიებს გავლენას ოპერაციის წინსვლაზე. ვხედავთ, რომ გაქანებითი ძალა, რომლითაც აღჭურვილია ორივე მხარის ინტერესების წინაუკმობა, შეიძლება დაიბნას მოგერიების და შეტევის ძალების განსხვავებაში და ამრიგად შეიქმნეს უნაყოფო.

მაში, თუ რომ ის, ვისაც დრო ხელს უწყობს, არის სუსტი, რომ ხელი აიღოს მოგერიების სარგებლიანობაზე, უნდა შეურიგდეს იმას, რომ მომავალი მისთვის იქნება უფრო ნაკლებად სასარგებლო; შესაძლებელი არის შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ უფრო სასარგებლო იქნება მისთვის ამ მომავალ ხელსაყრელ პირობებში აწარმოოს მოგერიებითი

ბრძოლა, ვინემ ამ უამად აწარმოოს შეტევითი ბრძოლა ან შეჰერას ზავიდან რადგანაც, ჩეენი რწმენის მიხედვით, უპირატესობა მოგერიებისა (სათანადოთ შეგებული) არის ფრიად დიდი, გაცილებით მეტი, ვინემ ეს პროცესი შეხედეთ გამოსხახს; აშექებს ეს მიზეზს ოპერაციების შექერების ხანის სიმრავლეს, და ამით განთავისუფლებული ვრჩებით ჭინაგან წინაუკმობის დასკვნათა პოლევისაგან. რამდენათაც სუსტია მიზეზები მოქმედებისა, მით უფრო მეტად სრუტავს მას და აუძლურებს განსხვავება ძალის შეტევის და მოგერიების შორის, და მით უფრო ხშირად იქნება, როგორც თვით გამოცდილება გვასწავლის, მოქმედებათა შექერების ხანა.

18. მეორე მიზეზი დამჯერებულია მდგომარეობის არა სათანადო გაგებისაგან

არსებობს კიდევ სხვა მიზეზი, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს ოპერაციის განვითარება, სახელდობრ, არა სათანადოთ გაგება არსებულ მდგომარეობისა. ყოველი სარდალი იცნობს დაწვრილებით მხოლოდ საკუთარ მდგომარეობას, მოპირდაპირის მდგომარეობას გაცნობილია არა სრულებით სარწმუნო ცნობების საშვალებით; შესაძლებელია მაშ, რომ მას შეექმნას შემცდარი შეხედულება და აქედან გამოიტანოს დასკვნა, რომ მოქმედების ჯერი სწორედ მოპირდაპირისაა, იმ უამად, როდესაც სწორედ მან უნდა იმოქმედოს. რასაკვირველია, მდგომარეობის არა სათანადოთ გაგებას შეუძლია მიიყვანოს ის მოქმედების დაწყებამდე სრულებით არა შესაფერის უამს, ან კიდევ შეაჩერებინოს მოქმედება არა სასარგებლო დროს და არ ი ონიოს გაკლენა სამხედრო მოქმედების როგორც აჩქარებაზე, ისე დაყოვნებაზე.: მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ნაკლი უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ ბუნებრივ მიზეზად, რომელსაც, რაიმე შინაგან წინაუკმობას მოკლებულს, შეუძლია შეაჩეროს საომარი ოპერაციები. კიდევ, რო გავითვალისწინოთ ის, რომ ადამიანი უფრო ხშირად გადააფასებს მოპირდაპირის ძალებს, ვინემ ნაკლებად შეაფასებს მას, რადგანაც ეს არის ადამიანის ბუნებაში, — უნდა ვსწაო, რომ არა სათანადოთ გაგება მდგომარეობისა იჩენს საერთოდ დიდ გავლენას სამხედრო ოპერაციების შექერებაში და მისი დებულებების შეზღუდვაში.

მოქმედებათა შექერების შესაძლებლობას შემოჰყავს ახალი შემზღვდავი მიზეზი სამხედრო მოქმედებებისა, რომელიც ხანდახან როგორდაც აწყალებს, აფერებს ხიფათის განვითარებას და ამრავლებს საშვალებებს დაკარგულ სწორწონობის ალსადევნად. რამდენათაც უფრო ძლიი იყო დაჭიმულობა, რომელმაც ომი გამოიწვია, რამდენად მეტია

მისი ენერგია, მით უფრო მცირენი იქნებიან შეჩერების ეს ხანები, დენადაც კი სუსტობს აუცილებლობა ომისა, მით უფრო გრძელი იქნება ეს ხანები (მოქმედებათა შეჩერებისა). ძლიერი მიზეზები ამაგრებენ ხასიათის სიმტკიცეს, და ეს კი, როგორც ვიცით, არის მუდამ მნიშვნელოვანი მიზეზი — ძალების წარმომშობელი.

19. ხშირი შემთხვევა შეჩერების ხანისა სამხედრო მოქმედებებში, ომს აშორებს მეტად დაუზოგველობის დებულებას და ამით აქცევს მას უფრო ეგებისობის ანგარიშად

რაც უფრო ნელა ვითარდებიან სამხედრო მოქმედებანი, რაც უფრო ხშირი და ხანგრძლივია შემთხვევანი შეჩერების ხანისა, მით უფრო ადვილი ხდება ჩადენილი შეცდაშის გამოსწორება, მით უფრო დაიმედებული იქნება თავისი გეგმით სარდალი. მით უფრო დაშორებული იქნება უდიდეს ჯაფის გამოკენებას საჭარაუბას და დაიშუქს სუველაფრის დამყარებას ეგებისობაზე და შემთხვევებზე. ამ ეგებისობის ანგარიშის, რომელიც დამყარებულია იმგვარ პირაბებზე, რასაც მოითხოვს თკით კონკრეტული მდგრადი პირობის ბუნება, განკარგულებაში იქნება მეტი თუ ნაკლები რაოდენობა დროისა, ოპერაციის მეტის თუ ნაკლები სინელით მიმდინარეობის მიხედვით.

20. გვაკლია მაშ მხოლოდ შემთხვევა, რომ ომი მივამსგავსოთ თამაშს — და სწორედ, შემთხვევებით ომი ფრიად მდიდარია

აქედან ვწედავთ, რამდენად ომის ნამდვილი ხასიათი ჰქმნის ამ უკანასკნელს ეგებისობის ანგარიშად; რომ აქციოს თამაშად, საჭიროა კი ჯერ ერთი მიზეზი, რასაც ომი სრულიადაც არ არის მოკლებული: — ეს მიზეზი, კი არის შემთხვევა. აღამიანთა არავითარ მოქმედებას არა აქვს საქმე შემთხვევებთან ისე ახლო და ეკრე მუზიკა, როგორც ომს. შემთხვევათა შემდეგ, ომში უზადესი ადგილი უჭარავს გამოურჩვევლობასა და ამასთან ერთად იღბალს.

21. ომი იქმნება თამაშად, როგორც თავისი არსებით ხასიათის მიხედვით, ისევე ინდივიდუალურის

ეხლა თუ კი გადავხედავთ ომის ინდივიდუალურ ხასიათს, ესე იგი იმ ძალებს, რომელთა საშვალებითაც ის უნდა ვაწარმოოთ, მოგვეჩენება ომი უფრო მეტ თამაშად.

საშიშროება არის სტიქია, რომელშიაც ომი სწარმოებს; და რომ მეღლი სულიერი თვისებაა საშიშროებაში ყველაზე უფრო მეტი ღირსების? — სიმხნევე! თუმცა სიმხნევის მორიგება შესაძლებელი ხდება მოსაზრებულ გამოანგარიშებასთან, მგრამ მაინც თავისთავად ესენი არიან სრულებით ერთი მეორესაგან განსხვავებული საგანი, და ეკუთვნიან ადამიანის სულის სხვა და სხვა დარგს; მაგრამ რისკი, რწმენა ბედისა, სითამამე, თავაგანწირულება — არიან მხოლოდ სიმხნევის განსაზიერება: და ყველა ეს მისწრაფებანი სულისა ეძებენ გამოურკვევლობას, ვინაიდან მხოლოდ ეს არის მისი ცხოველი სტიქია.

ვხედავთ მაში, რომ უკვე თავიდანვე, აბსოლუტური მიწეზი, ე.ი. მათემატიკური, ვერ პოულობს ვერსად გამძლე საყრდნობს სამხედრო ხელოვნების გამოანგარიშებებში, და რომ ერთბაშადვე იჭრება აქ სრული თამაში შესაძლებლობათა, ეგებისობათა, იღბლისა და უიღბლობისა, რომლებითაც დაბანდულია ყოველი მსხვილი თუ წვრილი ძაფები ამ ქსოვილისა; და ამით, ადამიანის სხვა ყოველგვარ მოქმედებებისაგან, მხოლოდ ომს ამგვანებს უფრო ქაღალდის თამაშს.

22. ადამიანის სულს ეს ყველაზე მეტად შეკვერის

თუმცა ჩვენი გონება მუდამ მიისწრაფის ნათელ და გარკვეულ საგნებისაკენ, მაგრამ ჩვენი სული კი მაინც ხშირად მიიღოვის გამოურკვევლობისაკენ. ფილოსოფიურ გამორკვევათა გონების ვიწრო ბილიკით სულისა და ლოლიკურ დასკვნათა მიღწევების ნაცულად, რომ დაბოლოს ნახევრად ფიზიკლმა მიაღწიოს იქ, სადაც თავსა გრძნობს უცხოდ, სადაც მას შორდება ყოველივე აქამდე ნაცნობი — ჩვენი სული ფანტაზიით ხალისიანად გადადის შემთხვევათა და იღბლის მხარეში. ვიწრო აუცილებლობის ნაცულად ცურაობს ის იქ შესაძლებლობათა სიმდიდრეში; ამით გალიზიანებული ვაკეაცური გრძნობა იწყებს აღმაფრენას და განწირულება და საშიშროება იქმნება სტიქიონალ- რომელშიაც ადამიანის სული ეშვება, როგორც გამბედავი მცურავი მდინარის სიღრმეში.

განა თეორიამ უნდა მიატოვოს ეს აქ და დამშვიდებით გაეშუროს ურყევ დასკვნათა და წესების გზით? მაშინ ის ცხოვრებისთვის შეიქნებოდა გამოუსადეგარი. თეორიამ ანგარიში უნდა გაუწიოს აგრეთვე ადამიანის დედა-არსს და ნება მისცეს გამოაშვარავებულ იქნას სიმნევე, გაბედულობა და თვით თავზე-ხელალებულობაც. სამხედრო ხელოვნებას საქმე აქვს ცოცხალ ძალასთან და მორალურ მიწერებთან; აქედან გამომდინარეობს, რომ ის ვერ შესძლებს მიაღწიოს რაიმე დანამდვილებითსა და ურყევს. რჩება მაში მუდამ ფრიად დიდი ადგილი იმ საგნებისათვის,

რომელთა შესახებაც შეგვიძლია ვიქონიოთ მხოლოდ დაახლოვებით წარმოდგენა და ეს როგორც უდიდეს მნიშვნელობის საკითხებში, აგრეთვე სრულებით უბრალოშიც. როგორც ერთი მხრივ არა სრული იმედოვნება, ისე მეორე მხრივ, სიმხნევე და რწმენა საკუთარ შეძლებისა უნდა გამოაშეარავდეს, რომ შევსებულ იქნას ეს შუალედი. რაც უფრო ძლიერია სიმხნევე და რწმენა თავის თავისა, მით უფრო მეტი ხარისხის გამოურკვევლობა არის დასაშევები. ესეჩი არიან მაშასადამე ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზები ომში: ამიტომ თეორია უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ იმგვარ განონებს, რომელიც ნებას დართავენ ამ აუცილებელ და უკეთილშობილეს სამშედრო ღირსებებს, იმოძრაოს თავისუფლად ყოველი თავისი ხარისხითა და სახით. და თვით განწირულების რისკშიაც ძევს ხოლმე სიბრძნე, და კიდევაც სიფრთხილე, მხოლოდ ცოტა განსხვავებულ ნიშნისა.

23. ომი მუდამ არის მაინც სარიოზული საშვალება სერიოზული მიზნისათვის. მისი უფრო დაახლოვებული განმარტება

ასეთია ომი, ასეთივე სარდალი, რომელიც მას აწარმოებს, ასეთივე თეორია, რომელიც მას ამზადებს. მაგრამ ომი არ არის გასართობი, არ აწარმოებენ მას მხოლოდ რისკის სიამოვნებისა და მოგებისათვის, ან კიდევ, არ არის ის საქმედ უინტერჯესო აღფრთოვანების; ისაა სერიოზული საშვალება სერიოზული მიზნისათვის. მრავალფეროვანება შემთხვევითი მოვლენებისა, ყოველგვარი გატაცებანი უინისა, სიმხნევესი, ფანტაზიისა, აღფრთოვანებისა, რომლებშიაც ომი იმოსება — არის მხოლოდ ამ საშვალების დამახასიათებელი თვისება.

ომი რომელიმე კრებულისა — მთელ ერებისა, და მეტადრე განათლებულ ერებისა, გამომდინარეობს მუდამ არსებულ პოლიტიკური მდგრამარეობისაგან და იწვევენ მას მუდამ მხოლოდ პოლიტიკური მიზეზები. ამიტომ არის ის პოლიტიკური საქციელი. რომ ომი ყოფილიყო მხოლოდ ძალის დასრულებული, შეუზღუდავი, ურყევი განსახიერება. როგორც უნდა დაგვესკვნა ეს მის აბსტრაქტულ მცნებიდან, მაშინ პოლიტიკის მიერ გამოწვეულს, უნდა დაეკავებია მისი ადგილი, როგორც შემთხვევას სრულებით მისგან დამოუკიდებელს, სრულებით გვერდით უნდობ დაეგდო ის და ეხელმდღვანელა მხოლოდ საკუთარი კანონებით. მაშინ ომი დაემზავს ებოდა ნალმს, რომელიც აფეთქებისას თავის თავად ვერ აიღებს სხვა მიმართულებას და არც შესაძლებელი იქნება მიეცეს

მას სხვა მიმართულება, გარდა იმისა, რომელიც მიცემული ჰქონდა მას გასროლის შინ მომზადებით. ეგრევეც აქამდე სინამდვილეში შეგნებული ჰქონდათ ეს საკითხი, და ამრიგად, შეთანხმებულობის უქონლობას პოლიტიკისა და ომის ხელმძღვანელთ შორის, რამდენჯერმე მიჰყავდა ამგვარ მსჯელობამდე. სინამდვილეში კი ეგრე არ არის და ასეთი წარმოდგენა არის სრულებით მაცდური. ნამდვილი ომი, როგორც ეს უკვე დავინახეთ, არასოდეს არ არის ისეთი უხეში, რომ ერთბაშადვე გამოილოს მთელი თავისი ენერგია, წინაუკმოდ, ის არის ძალების მოქმედება, რომელიც ვითარდებიან არა სრულებით ერთნაირად და თანაბრად. მათი დაჭიმვა ხან საკმარისია წინააღმდეგობის დასაძლევად, რომელსაც მას ახვედრებს ინერცია და ჭიდილი, ხან კიდევ ფრიად სუსტია, რომ გამოისახოს მოქმედებით. ამით მაშ ომი ყოფილა ხან ძლიერ და ხან სუსტი იმპულსად მედგრობისა, რომელიც გამოჰყოფს თავის ენერგიას და სწურავს თავის ძალებს ხან ჩქარა და ხან კიდევ ნელა. სხვა სიტყვებით როვთქვათ, ომს მივყევართ მიზანთან ჩქარა ან ნელა, მაგრამ მაინც გრძელდება იმდენი ხნის განმავლობაში, რომ შესაძლებელი ხდება კიდევ მისი მიმდინარეობის დროსაც აღმოჩენებს გავლენა შემდლები მისთვის ამათუ იმ მიმართულების მისაცემად, და მაშ დაუქვემდებაროს ის მისი მართველი ინტელექტის ნებისყოფას. თუ კიდევ გავიხსნებთ იმას, რომ ომი გამომდინარეობს პოლიტიკური განზრახვისაგან, მაშინ სრულებით ბუნებრივად მოგვეჩვენება, რომ ეს პირველი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ომი, რჩება მოწინავედ ყოველმხრივად, აგრეთვე მის დასაშეყისში. მაგრამ ეს პოლიტიკური განზრახვა არ არის ჯერ კიდევ ამის გამოდესპოტიურ კანონმდებლად; ის უნდა შეეგუოს მოხმარებულ საშვალებათა ბუნებას, რის გამოც ეშირად იცვლება, მაგრამ მაინც ეშირად რჩება იმად, რაც უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა მიღებული მხედველობაში. პოლიტიკა დაძრება მუდამ სამხედრო მოქმედებათა შორის და ახდენს მასზე მუდამ გავლენას იმ ფარგლებში, რომელსაც უხაზავს მას ომის დროს გამოაშკარავებული ძალების ბუნება.

24. ომი არის მხოლოდ პოლიტიკის გაგრძელება წარმოებული სხვა საშვალებებით

მაშ ვხედავთ, რომ ომი არის არა მხოლოდ პოლიტიკური მოქმედება, არამედ პოლიტიკის ნამდვილი იარაღი, პოლიტიკურ დამკიცებულებათა გაგრძელება, მისი განსახიერება სხვა საშვალებით. რჩება მაშ ომს. როგორც მისი დამასასიათებელი თვისება, მხოლოდ განყენებული ბუნება მის მიერ ხმარებულ საშვალებებისა.

სამხედრო ხელოვნებას საერთოდ, და სარდალს ყოველ ცალკე შემთხვევაში, შეუძლიათ მოითხოვონ, რომ პოლიტიკური მისწრაფებანი და მიმართულება არ ეწინააღმდეგებოდეს ამ საშვალებებს. ეს სერიოზული მოთხოვნილებანი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გავლენას ახდენენ უმთავრესად მხოლოდ პოლიტიკურ მისწრაფებებზე, მაიც იწვევენ განსაზღვრულ ცვლილებებს მასში. ვინაიდგან პოლიტიკური განხრახვა არის მიზნად, ომი კი საშვალება, და წარმოდგენა საშვალებისა კი უმიზნოდ შეუძლებელია.

25. ომების სხვადასხვაგვარობა

რამდენადაც მეტასარისხოვანი და ძლიერი არიან ომის მიზეზები, რამდენადაც მეტად ეხება ხალხთა ცხოვრებას, მით უფრო ძლიერი არის მდგომარეობის დაჭიმულობა, რომელიც წინ უსწრებს ომს, მით უფრო ომი უახლოვდება თავის განკუნებულ ფორმას, მით უფრო მაგრად დაისმის საკითხი მოპირდაპირის მოგერიებისა, მით უფრო მჭიდროდ უკავშირდება მიზანი ომისა პოლიტიკურ განხრახვას და ომი გამოსჩანს ამით უფრო მეტად მებრძოლი და უფრო ნაკლებად პოლიტიკური. მაგრამ, რაც უფრო სუსტი არიან ომის მიზეზები და მდგომარეობის დაჭიმულობა, მით უფრო ძნელი ხდება შეთანხმება ძალებისა, ამ ბუნებრივ მიმართულების სამხედრო სტიქიისა, პოლიტიკით აღებულ გეზთან. მაშინ ომი იძულებით თანდათან უფრო მეტად შორდება თავის ბუნებრივ მიმართულებას. და პოლიტიკური განხრახვა კი რჩება თანდათან უფრთ მეტად სრულყოფილ ომის მიზნისაგან, რომელიც თანდათანობით ლებულობს უფრო მეტ პოლიტიკურ ხასიათს.

მაგრამ რომ კითხველი შეცდომაში არ შევიყვანოთ, უნდა დაუმატოთ, რომ ომის ამ ბუნებრივ მისწრაფებებში ვგულისხმობთ არა ძალთა მისწრაფებებს, არამედ მისწრაფებას ფილოსოფიურს, ლოლიკურს; მაგალითად, რომ წარმოვიდგინოთ ყოველგვარი გრძნობა და უინი მებრძოლთა. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ეს შესაძლებელია იქნეს იმ ზომამდე გაღვივებული, რომ ძნელი გახდება მისი დამაგრება პოლიტიკურ ჩარჩოში, მაგრამ ამგვარი უთანხმოება სინამდვილეში იშვიათად იქნება, ვინაიდან თვით არსებობა ამგვარ ძლიერ მისწრაფებათა წარმოშობს შესაფერის მოქმედების გეგმას. სადაც ეს გეგმა მიმართულია უბრალო მიზნებისაკენ, იქ მასსათა მისწრაფებანი იმდენად სუსტი არიან, რომ საჭირო ხდება უფრო მისი გაღვივება, ვინემ შეკავება.

26. ყოველი ომი შესაძლებელია ჩაითვალოს პოლიტიკურ მოქმედებად

თუ კი მართალია, რომ ერთ-ერთ ომის დროს პოლიტიკა ვითომდაც ქრება, და მეორე შემთხვევაში კი გამოს-ჩანს ძალიან გარკვევით, მაინც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს ორივე გვარი ომისა არის ერთნაირადც პოლიტიკური. თუ კი პოლიტიკა გვე-სმის როგორც პრაქტიკული გონიერება განსახიერებულ სახელმწიფოსი, მა-შინ სხვა და სხვა მდგომარეობათა შორის, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იქნება, შესაძლებელია დარჩეს ისეთიც, რომელსაც აგ--რეთვე თავისი ხასიათის მიხედვით შეუძლია გამოიწვიოს ომი პირვე-ლი გვარისა. მაგრამ თუ კი პოლიტიკას გავიგებთ არა როგორც ყოველ მხრივ აწონდაწონილობას, არამედ როგორც საზოგადოთ მიღებულ შეგ-ნებას ძალმომრეობის ასაკილებლად, ფრთხილისა, თვალთმაქცურისა და ხშირად კიდევ არა სავსებით პატიოსან ჭკუის ცოდვილებად, ამგვარ პოლიტიკას, რასაკვირველია, უფრო მიუღება მეორე გვარის ომი.

27. ზემოხსნებული შეხედულება თავისი შედეგით ნებას იძლევა სამხედრო ისტორიის გაგებისა და თეორიის საფუძვლის გამაგრებისა

აქედან უპირველეს ყოვლისა ვხედავთ, რომ ომი არ უნდა ჩაით-ვალოს როგორც რაიმე დამოუკიდებელი, არამედ პოლიტიკის იარაღად და მსოლოდ ამგვარი შეხედულება გვიცავს ჩვენ სამხედრო ისტორიას-თან შეუთანხმებლობისაგან. მხოლოდ ერთადერთი ეს ნებას მოგვცემს ჩვენ, როგორც რაიმე ვებერთელა წიგნიდან, ამოვილოთ ომის ნამდვი-ლი შეგნება. ეს შეხედულება, ამას გარდა, გვაჩვენებს თუ როგორი სხვა და სხვა გვარის ომები არსებობენ და ეს, მათ გარემოებათა და მიზეზე-ბის მიხედვით, რომელნიც არიან ომის წარმოშობის მიზეზად.

პირველი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და გადამჭრელი გადა-წყვეტილება, რომელიც უნდა იყოს მიღებული სახელმწიფო ადამიანის და სარდალის მიერ, არის გამორკვევა თავისათვის, თუ განხრახული ომი ნათლად წარმოუდგენია მას, რომ არა სთვლიდეს ომს ისეთ რამედ, როგორათაც მას არ შეუძლია იქცეს, არსებულ გარემოებათა მიხედვით. ეს არის პირველი ყველაზე მეტად საერთო საკითხი სტრატეგიისა; შემ-დეგ განვიხილავთ ამას უკაეთესად, როდესაც გვექნება ბაასი ომის გეგმა-ზე; აქ დავკმაყოფილდეთ იმით, რაზედაც შევჩერდით, ე. ი. გამოვარკვი-ეთ შეხედულების უმთავრესი პუნქტი, რომლითაც უნდა მივუდგეთ ომ-ისა და მისი თეორიის განხილვას.

28. შედეგები თეორიისათვის

მაშ ომი ყოფილა არა მხოლოდ ნამდკილი ქამელეონი, რომელიც ცოტათი იცალის თავის ბუნებას ყოველ ცალკე შემთხვევაში, არა-მედ, მთლიანად რო ავიღოთ, მასში არსებულ მისწრაფებათა მიხედვით, წარმოადგენს საკვირველ სამებას, რომელიც შემდგარია 1) პირველყოფილ უხევობისაგან, სიძულვილისა და არაკეთილ განშეობილებისაგან, რაიც უნდა ჩაითვალოს ბრმა ბუნებრივ ღტოლვიობებად; შემდეგ 2) ეგებისობის თამაშისაგან და შემთხვევისაგან, რომელიც ომსა ჰქმის დამოუკიდებელ სულიერ მოქმედებად, დაბოლოს, 3) მეორეხარისხოვან თვისებისაგან, როგორიცაა პოლიტიკური იარაღი, რის გამოც ემორჩილება ჩვეულებრივ გონებას.

პირველი ამ სამ მხარედან შექ्षურებს ერს, მეორე — სარდალს და მის ჯარებს, მესამე კი უმეტეს შემთხვევაში — მთავრობას. ეინი, რომელიც გალვივდება ომში, უნდა არსებობდეს თვით ერებში; ფარგლების სიდიდე, რომელშიაც ვითარდება ვაჟეკაციობისა და ნიჭის თამაზი ეგებისობისა და შემთხვევათა დარგში, დამოუკიდებულია სარდალისა და ჯარის დროსებისაგან, პოლიტიკური განზრახვები კი მხოლოდ საკუთრივ მთარობის საქმეა.

ეს სამი მისწრაფება. რომელიც ჰქმის ამდენივე კანონს, ღრმად დეკს საგნის ბუნებაში და ამავე დროს სულ სხვა და სხვა ძალით. თეორია, რომელიც მოისურვებდა ამ სამებისაგან რომელიმეს გვერდით ავლას, ან განსაზღვრას მათ შორის რაიმე თავისუფალ დამოკიდებულობისა, იმ წამსვე დადგებოდა სინამდვილესთან ისეთ წინააღმდეგობაში, რომ თვით ამითკე შეიქნებოდა ჩასათვალი დამარცხებულად.

თეორია, მაშ, არის მოთავსება ამ ორ მისწრაფებათა შუა, როგორც რაიმე სამ მიმზიდველ წერტილთა შორის.

თუ რა გზით გახდება შესაძლებელი საუკეთესოდ გამართლება ამ ძნელ ამოცანისა, ვიკისრებთ განვიხილოთ წიგნში ომის თეორიის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, აქ მიღწეული გამორჩევა ამის მცნებისა, არის პირველი შუქი სინათლისა, რომელიც ეფინება თეორიის მძლავრ შენობას და ამით საშვალებას იძლევა უპირველეს ყოვლისა შევამჩნიოთ და გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ვეებერთელა ლოდები.

იბეჭდება და გამოიცემა პოლონურ ენაზე ლეიტ. ნიკ. მათიკა-შვილის წიგნი: «ძალების დაგერშვა (წროვნა) საერთო, სამხედრო, სა-სანიტარო და პოლიციურ მიზნებისათვის».

წიგნი მეტად შინაარსიანია, ლამაზად იქნება დასურათებული და დიდ ინტერესს იშვევს.

ახლო მომავალში, ვარშავაში გაიხსნება სამკიზველო--მუზეუმი, რომლის მიზანია შეკვრიფოს და შეინახოს ყოველი ნივთი და ბეჭდვითი გამოცემა. რომელთაც დამოკიდებულება აქვთ 1921 წლის შემდეგი ემი-გრაციასთან და აჯანყებებთან.

დაისტამბა და გასასყიდლად გამოიცა ხელოვნებისა და მეცნიე-რების ორგანო: — «კავკასიონი», წიგნი მეოთხე, შემდეგი შინაარსისა:—
 რეო ამონი: — სადა ხარ?, — მზეო, მზეო!. გ. ნაილი: — დღიუ-რიდან: დედას?. გიორგი ყიფიანი: — ჩემი მხარე. ერის მარია რემარგ:— დასავლეთით ახალი არაფერია. რალდი: — ჩემს კუთხეს, — ქარიშხალი სტეფანე კასრაძე: — პოემა ძმობის შესახებ. ვლასა მგელაძე: — ცხრა-თვალს მზე. გ. ნაცვლიშვილი: — მთიან საფრანგეთში. ბებურიშვილი: — ქალწულს. დ. ლალიაშვილი: — ცხოვრების ტალღებში. ო. შუშა-ნია: — ★★. ვ. სოსანი: — ძველი ქართული მწერლობა. ი. მანწვავა:— ნ. გერგესელი. შალვა ამირეჯიბი: ადამიანები და საქმენი.

სარედაქციო კოლეგია



IMPRIMERIE DU COMMERCE
8, Grande-Rue
BOURG-LA-REINE (Seine)